

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის

მაგისტრანტი - სალომე მაისურაძე

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

მომხმარებლის უფლებების დაცვა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ლევან გოთუა

სამართლის დოქტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი

თბილისი

2019 წელი

სარჩევი

აბრევიატურები.....	4
შესავალი	5
I. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება	7
1.1. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების არსი	7
1.1.1. კრედიტის ცნება და ხელშეკრულების მხარეები	8
1.1.2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სხვა არსებითი პირობები.....	9
1.2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სახეები.....	11
II. მომხმარებელი, როგორც საბანკო კრედიტის ხელშეკრულების „სუსტი“ მხარე.....	12
2.1. მომხმარებლის ცნება	12
2.2. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში.....	14
III. ფიზიკური პირის დაკრედიტება.....	19
IV. კრედიტის გამცემის ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.....	23
4.1. რეკლამები და მარკეტინგული განცხადებები	23
4.2. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ეტაპზე.....	25
4.2.1. ინფორმაციის გამჟღავნება	25
4.2.2. რჩევის მიცემის მოვალეობა.....	27
4.3. ინფორმაციის მიწოდების ფორმა და მტკიცების ტვირთი	29
V. მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები.....	31
5.1. დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში	31
5.1.1. დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები	32
5.1.2. ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის ხელშეკრულების გაფორმებისას.....	33
5.1.3. ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ	37
5.1.4. კრედიტის წინსწრებით დაფარვა (Early Repayment)	39
5.1.5. მომხმარებლის პრეტენზიების აღრიცხვა და განხილვა.....	40
5.2. დაცვის მექანიზმები სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში.....	41
VI. სასამართლოს მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობების კონტროლი....	46

6.1. სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში	46
6.1.1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება	46
6.1.2. სტანდარტული პირობები საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში	48
6.1.2.1. სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობა	49
6.1.2.2. აღსრულების მიქცევა მოვალის საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე კრედიტის დაბრუნების ვალდებულების იპოთეკით უზრუნველყოფის პირობებში	52
6.1.2.3. იპოთეკის საგნის რეალიზაცია სპეციალისტის მეშვეობით	55
6.2. სახელშეკრულებო პირობების კონტროლის სხვა შემთხვევები	57
6.2.1. პირგასამტეხლო	57
6.2.2. პროცენტი	60
6.2.3. მიუღებელი შემოსავალი	62
დასკვნა	65
ბიბლიოგრაფია	68

აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ.

ე.წ. - ეგრეთ წოდებული.

იხ. - იხილეთ.

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

სსმ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება.

სხვ. - სხვა.

წ. - წელი.

N151/04 ბრძანება - „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანება.

N281/04 ბრძანება - „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანება.

შესავალი

საბანკო კრედიტი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხელშეკრულებაა, რასაც განაპირობებს თანამედროვეობაში საბანკო სექტორის სწრაფი ზრდა, საბანკო და საკრედიტო ინსტიტუტების ინტენსიური დანერგვა. საკმარისი მატერიალური რესურსის არარსებობის პირობებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უძრავი ქონების შესაძენად/გასარემონტებლად, ბიზნესის დასაწყებად ან/და სხვა მიზნებისათვის მიმართავს ფინანსურ ინსტიტუტებს და დებს მათთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას. სწორედ მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე ახერხებს მსესხებელი კომერციული ბანკის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული სხვა სუბიექტისაგან მისთვის საჭირო იმ ფინანსური რესურსის მოპოვებას, რომლის მიღებაც ხშირად გადაუდებელ აუცილებლობასთანაა დაკავშირებული.¹

ხშირ შემთხვევაში კრედიტის გამცემი ბოროტად იყენებს საკუთარ დომინირებულ მდგომარეობას ბაზარზე, ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსს, სარგებლობს იმ გარემოებით, რომ მსესხებელს დაუყოვნებლივ ესაჭიროება მატერიალური სახსრები და მას სთავაზობს ხელშეკრულების დადებას კაბალური პირობებით (მაღალი საპროცენტო განაკვეთი, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების უფლება, სპეციალისტის მიერ კერძო აუქციონზე უძრავი ქონების რეალიზაციის შესაძლებლობა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა და სხვ.), რომელიც შესრულებულია წვრილი ფონტით და გაჯერებულია სპეციალური ტერმინებით. აღნიშნული რასაკვირველია, ართულებს მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების აღქმადობას, იმ რისკების გაცნობიერების შესაძლებლობას, რომელიც მოვალეს ვალდებულების დარღვევის პირობებში წარმოეშობა. ხშირად მსესხებელს მცირე დროში, რამდენიმე წუთში ან საათში უწევს კრედიტის გამცემთან გააფორმოს სხვადასხვა შინაარსის მქონე რამდენიმე ხელშეკრულება (გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება, საკრედიტო ხელშეკრულება, იპოთეკის ხელშეკრულება და სხვ.). იმ პირობებში, როდესაც კრედიტის გამცემი მსესხებელს სათანადო ფორმით არ აძლევს ინფორმაციას საბანკო კრედიტის მნიშვნელოვანი, სტანდარტული პირობების შესახებ, იზღუდება კრედიტის მიმღების მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის შესაძლებლობა - მსესხებელი სრულიად გაუცნობიერებლად თანხმდება კრედიტის გამცემის მიერ შემოთავაზებულ კაბალურ პირობებს. ამდენად, მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი, რომელმაც უნდა განმარტოს კრედიტის გამცემის მიერ შეთავაზებული პირობები და დაიცვას იმ

¹ Preston S.D., Prochaska-Cue K., Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska – Lincoln Extension, Institute of Agriculture and Natural Resources, December 2007, 1.

მომხმარებლის უფლებები, რომელსაც კრედიტორმა არ განუმარტა ხელშეკრულების პირობები და წაართვა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ მომხმარებლის ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით უნდა შეაფასოს რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა კრედიტორი ხელშეკრულების დადებისას, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე განახორციელა თუ არა მომხმარებელმა აქცეპტი.

პრაქტიკაში მითითებული ხელშეკრულება უამრავ პრობლემას წარმოშობს, რის გამოც წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააანალიზოს საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, მისი არსი, მასთან მიმართებით მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში დღეის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციები, გამოკვეთოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ძირითადი პრობლემატური საკითხები და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის მიზნებისათვის შედარებით-სამართლებრივ ჭრილში იქნება განხილული ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული მიდგომები, ევროკავშირის დირექტივები, სხვა ქვეყნებისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა. კვლევისას გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეთოდი, ასევე ლოგიკური, ნორმატიულ-დოგმატური, სისტემური კვლევის მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომი შედგება 6 თავისგან, რომელიც, თავის მხრივ, კონკრეტული საკითხების განხილვის მიზნით იყოფა ქვეთავებად.

პირველ თავში განხილულია საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ნაშრომის მთავარი საკვლევი საკითხების განხილვისათვის.

მეორე თავში განმარტებულია ვინ არის მომხმარებელი და რატომ წარმოადგენს ის ხელშეკრულების „სუსტ“ მხარეს.

მესამე თავში მოცემულია ფიზიკური პირების დაკრედიტების საფუძველები, პრინციპები და კრედიტის გაცემის წინაპირობები.

მეოთხე თავში განხილულია კრედიტორის ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე სხვადასხვა ასპექტში.

მეხუთე თავი ეთმობა მომხმარებლის დაცვის მექანიზმების, სამართლებრივი რეგულაციების განხილვას როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მექვსე თავში განხილულია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სტანდარტული პირობები, სასამართლოს მიერ ხელშეკრულების პირობების კონტროლის შემთხვევები და შესაბამისი არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

I. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება

1.1. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების არსი

საბანკო კრედიტი საბანკო მომსახურების ერთ-ერთი სახე, სესხის ხელშეკრულების სპეციალური გამოვლინებაა.² თანამედროვე ეპოქაში საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მნიშვნელობა ყოველდღე უფრო და უფრო იზრდება, რასაც მსესხებელთა რაოდენობის ზრდაც მოწმობს.³ საბანკო კრედიტის ფართოდ გავრცელება დადებითი შედეგის მომტანია თავად კრედიტის გამცემისთვის, რამდენადაც როგორც წესი, მსესხებელთან ხელშეკრულების დადება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელთან. მეორე მხრივ, მომხმარებლისთვის საბანკო კრედიტი დიდი რისკის შემცველია, ვინაიდან დიდია ხელშეკრულების „ძლიერი“ მხარის მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ალბათობა, რაც ქმედითი მექანიზმებით მსესხებლის უფლებების დაცვის აუცილებლობას წარმოშობს.⁴

მომხმარებლის უფლებების ეფექტური დაცვა მოიცავს სამ მნიშვნელოვან ელემენტს: პირველ რიგში აუცილებელია, კანონის ნორმები და რეგულაციები, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობას მომსახურების გამწვესა და მომხმარებელს შორის, უზრუნველყოფს სამართლიანობასა და გამჭვირვალობას; ასევე, საჭიროა, არსებობდეს ქმედითი აღსრულების მექანიზმი, მათ შორის, დავათა გადაწყვეტასთან მიმართებით; აუცილებელია მომხმარებლების ფინანსური ცნობიერებისა და შესაძლებლობების ამაღლება მათივე ფინანსების სწორი მიმართულებით სამართავად.⁵

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც რეალური, ასევე კონსესუალური.⁶ თუ ხელშეკრულების დადებისას ხდება მსესხებლისთვის თანხის გადაცემა ხელშეკრულება რეალურია, ხოლო თუ მხარეები თანხმდებიან, რომ კრედიტის გამცემი მხოლოდ მომავალში გასცემს თანხას გარიგება კონსესუალურად მიიჩნევა.⁷

² შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001, 194.

³ რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 174.

⁴ იქვე, 174.

⁵ Ardic O.P., Ibrahim J.A., Mylenko N., Consumer Protection Laws and Regulations in Deposit and Loan Services, A Cross-Country Analysis With a New Data Set, The World Bank, 2011, 2.

⁶ შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001, 195.

⁷ იქვე, 195.

1.1.1. კრედიტის ცნება და ხელშეკრულების მხარეები

საქართველოს კანონმდებლობა კრედიტის გამცემს აკისრებს ვალდებულებას მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი.⁸ სსკ არ იძლევა კრედიტის დეფინიციას, თუმცა კრედიტის მნიშვნელობა განმარტებულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სპეციალურ ბრძანებებში. „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი კრედიტს საკმაოდ ფართო მნიშვნელობას სძენს, კერძოდ, კრედიტი არის „ნებისმიერი ტიპის სესხი/კრედიტი, მათ შორის, ოვერდრაფტი და საკრედიტო ბარათი, მიუხედავად საფინანსო პროდუქტის სახელწოდებისა, რომელსაც ფინანსური ორგანიზაცია სთავაზობს/აწვდის მომხმარებელს“. სხვა დეფინიციის მიხედვით, კრედიტად განიხილება „დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება“.⁹

იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია კრედიტის მახასიათებლები, კერძოდ, 1. დაბრუნებადობა გულისხმობს მოვალის ვალდებულებას კრედიტის დაბრუნების თაობაზე; 2. ფასიანობა მოიცავს კრედიტის სარგებლიანობას, რომელიც როგორც წესი, მხარეთა მიერ საპროცენტო განაკვეთის შეთანხმებაში გამოიხატება; 3. ვადიანობის პრინციპი განაპირობებს იმას, რომ საბანკო კრედიტი გაიცემა კონკრეტული ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოიშობა კრედიტის გამცემის მიმართ თანხის დაბრუნების ვალდებულება; 4. უზრუნველყოფადობის პრინციპი იცავს კრედიტორს მსესხებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევის რისკებისაგან.¹⁰ უზრუნველყოფილი მოთხოვნა კრედიტორს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ის შეძლებს საკუთარი უფლების დაცვას.¹¹ საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული უზრუნველყოფის საშუალებებით: თავდებობა, იპოთეკა, პირგასამტეხლო და სხვ.¹² იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებები არ

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი.

⁹ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 179-180.

¹¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 540.

¹² იქვე, 540 და შემდგომნი.

შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს იპოთეკით ან სხვა ღონისძიებით, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან.¹³

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში მსესხებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.¹⁴ რაც შეეხება კრედიტის გამცემს,¹⁵ ამგვარ სუბიექტად გვევლინებიან კომერციული ბანკები,¹⁶ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები¹⁷ და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები - საკრედიტო კავშირები¹⁸. მიუხედავად იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული ზემოაღნიშნული მოსაზრებისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით მსესხებელსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება არა საბანკო კრედიტის, არამედ სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნორმებით.¹⁹

1.1.2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სხვა არსებითი პირობები

ხელშეკრულების საგნისა და მხარეების გარდა, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს პროცენტზე შეთანხმება, ვინაიდან სსკ-ის 867-ე მუხლის მიხედვით, საბანკო კრედიტი ყოველთვის სასყიდლიანია.²⁰

N151/04 ბრძანების მე-2 მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს ინდექსირებულ და ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში მოიხსენიება მყარ და ცვალებად საპროცენტო განაკვეთებად.²¹

ინდექსირებული იგივე ცვალებად საპროცენტო განაკვეთი განიმარტება როგორც „საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა

¹³ რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 180. იხ. ციტირება: Directive 2008/48/EC Art. 2, para. 2, (a).

¹⁴ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 201.

¹⁵ იქვე, 200-201.

¹⁶ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁷ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁸ „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმე Nას-513-490-2016, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018.

²⁰ შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001, 196.

²¹ იქვე, 196.

გამოწვეული“.²² ფიქსირებულ იგივე მყარ საპროცენტო განაკვეთად კი განიხილება „ყველა სხვა ტიპის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ არის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი“.²³ ამდენად, ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებულია გარკვეულ მაჩვენებელთან და გარიგების მოქმედების პერიოდში შესაძლებელია მისი ცვლილება იმ პირობებში, როდესაც ფიქსირებული (მყარი) საპროცენტო განაკვეთი უცვლელია აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.²⁴ კანონმდებლობა ასევე იცნობს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცნებას, რომელიც N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოიცავს ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯს.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ემსგავსება სესხის ხელშეკრულებას, მით უფრო, რომ კანონმდებლობა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით არაზუსტია.²⁵ მაგალითად, სსკ-ის 867-ე მუხლი საბანკო კრედიტის საფუძველზე კრედიტის გამცემს ავალდებულებს გასცეს სასყიდლიანი კრედიტი **სესხის ფორმით**, რაც გარკვეულ ორაზროვნებას იწვევს.²⁶ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სესხსა და საბანკო კრედიტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. გარდა საბანკო კრედიტის ყოველთვის სასყიდლიანი ხასიათისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კრედიტის გამცემი შესაძლებელია იყოს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული სუბიექტი, სესხის გაცემა კი შეუძლია ნებისმიერ პირს.²⁷

გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ყოველთვის წერილობით იდება, ხოლო სესხის ხელშეკრულება ზოგჯერ ზეპირი ფორმითაც იდება.²⁸ სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება მსესხებლისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს,²⁹ თუმცა რასაკვირველია, ეს გარიგების ბათილობას არ განაპირობებს. ამას გარდა, სესხის ხელშეკრულების საგანი არის ფული ან სხვა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი³⁰ იმ პირობებში, როდესაც კრედიტის გაცემა მუდმივად ფულად სახსრებთანაა დაკავშირებული.³¹

²² „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

²³ იქვე, მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი.

²⁴ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 201-202.

²⁵ იქვე, 198.

²⁶ იქვე, 198-199.

²⁷ იქვე, 198-200.

²⁸ შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001, 194.

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, „ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით“.

³⁰ ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 26.10.2016, მუხლი 623, ველი 3.

³¹ შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001, 194.

1.2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სახეები

საქართველოში ერთმანეთისგან განასხვავებენ: ბიზნეს კრედიტს, იპოთეკური კრედიტს და სამომხმარებლო კრედიტს.³²

ბიზნეს კრედიტი გაიცემა მხოლოდ მსესხებლის ბიზნეს ოპერაციების დაფინანსების მიზნით, ამასთან, კრედიტის გამცემს წარედგინება შესაბამისი გეგმა, რათა კრედიტორი დარწმუნდეს ბიზნეს ოპერაციის მომგებიანობაში.³³ ბიზნეს კრედიტი გაიცემა მხოლოდ მეწარმეებზე,³⁴ რომელთა ამომწურავი ჩამონათვალიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით: „ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.“ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით,³⁵ გამონაკლის შემთხვევაში ბიზნეს კრედიტი გაიცემა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაზე.³⁶

იპოთეკური კრედიტი მიზნობრივია და მისი გაცემა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს სურს უძრავი ქონების შეძენა, მშენებლობა ან გარემონტება.³⁷ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, იპოთეკური სესხი გულისხმობს „უძრავი ქონების შეძენა/მშენებლობა/რემონტის მიზნობრიობით გაცემულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხს ან მისი რეფინანსირებას“.

სამომხმარებლო კრედიტი არამიზნობრივია - შესაძლებელია გაიცეს ფიზიკურ პირზე ნებისმიერი ოპერაციის შესასრულებლად.³⁸ N281/04 ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი სამომხმარებლო სესხს განმარტავს, როგორც ნებისმიერი მიზნობრიობით გაცემულ სესხის, გარდა სამეწარმეო (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო) მიზნობრიობის და ზემოაღნიშნული მიზნებით გაცემული სესხისა. სხვა სახეობებთან ერთად, სამომხმარებლო კრედიტის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ოვერდრაფტი.³⁹ ოვერდრაფტი იგივე საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება გულისხმობს

³² გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 219.

³³ იქვე, 220 – 221.

³⁴ იქვე, 220.

³⁵ იქვე, 220.

³⁶ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა მიიჩნევა საწარმოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

³⁷ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 226-227.

³⁸ იქვე, 229.

³⁹ იქვე, 230.

საკრედიტო ბარათზე ე.წ. „მინუსზე“ წასვლის, ავტომატური კრედიტის აღების შესაძლებლობას.⁴⁰

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ N281/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი კრედიტის ცალკე სახედ გამოყოფს სატრანსპორტო სესხს.⁴¹

II. მომხმარებელი, როგორც საბანკო კრედიტის ხელშეკრულების „სუსტი“ მხარე

2.1. მომხმარებლის ცნება

საქართველოში 2012 წლის 25 მაისამდე მოქმედებდა საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც მომხმარებელს განმარტავდა, როგორც „პირადი საჭიროებისათვის საქონლის/სამუშაოს, მომსახურების/გამომყენებელ, შემძენ, შემკვეთ, ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქეს“. დღეის მდგომარეობით აღნიშნული კანონი ძალადაკარგულადაა გამოცხადებული და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კანონის მისაღებად, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ქმედითი დაცვის მექანიზმს შექმნის. წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა მხოლოდ ძალაში მყოფ ნორმატიულ აქტებს, რის გამოც კანონპროექტის⁴² განხილვა ნაშრომის მიზნებისათვის არ არის რელევანტური.

გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის სხვადასხვა აქტი მომხმარებლის ცნებას განსხვავებულად განმარტავდა.⁴³ ევროკავშირის დირექტივები 1980-იანი წლებიდან 21-ე საუკუნის დასაწყისამდე ორიენტირებული იყო კონკრეტულ პრობლემებზე და ადგენდა მომხმარებლის უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტს წევრი სახელმწიფოებისთვის, რათა მათ კანონმდებლობაში შესაბამისი პრევენციული ზომები

⁴⁰ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ოვერდრაფტი არის „საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი თანხა აღემატება მის მიმდინარე ანგარიშზე მათ შორის, საბარათე ანგარიშზე, არსებულ სახსრებს“.

⁴¹ მითითებული ნორმის მიხედვით, სატრანსპორტო სესხი განმარტებულია როგორც, „სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხი“.

⁴² „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040?>

⁴³ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელმწიფოებრივი სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 69. იხ. ციტირება: *Nebbia P., Askham T.*, EU Consumer Law, Richmond, 2004, 37.

გაეთვალისწინებინათ.⁴⁴ მიუხედავად სამომხმარებლო სამართლის ჰარმონიზაციის მიზნებისა, ევროპული კავშირის წევრი ქვეყნების შიდა კანონმდებლობა კვლავ მნიშვნელოვნად განსხვავებულია და სხვაგვარად არეგულირებს ამ სფეროსთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.⁴⁵

ევროპულ დონეზე მომხმარებლის ცნების ერთგვაროვნად დამკვიდრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის N2008/48/EC დირექტივამ, რომლის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მომხმარებელი განიმარტება როგორც ფიზიკური პირი, რომელიც დირექტივით გათვალისწინებულ სფეროებში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს და პროფესიული საქმიანობის მიღმა.

ევროპული მიდგომით, პირის მომხმარებლად მიიჩნევისათვის აუცილებელია: „1.ფიზიკური პირის სტატუსი; 2. მოქმედება სავაჭრო, ბიზნეს, ხელობის ან პროფესიულ ფარგლებს მიღმა.“⁴⁶ მცირე მეწარმეები, ფერმერები შესაძლებელია მიჩნეულ იქნენ მომხმარებლებად თუ: 1. ისინი იძენენ პროდუქტს ან სარგებლობენ მომსახურებით, რომელიც ექცევა მათი პროფესიული საქმიანობის ფარგლებს მიღმა, 2. მათი სავაჭრო მიზანი არის ისეთივე მცირე როგორც ჩვეულებრივი მომხმარებლის შემთხვევაში.⁴⁷

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული განმარტებებისაგან განსხვავებულია მომხმარებლის დეფინიცია საქართველოს საბანკო სამართალში, კერძოდ, N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მომხმარებელი წარმოადგენს „საფინანსო პროდუქტის მიმღებ ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, გარდა ფინანსური ორგანიზაციისა“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ რეალობაში მომხმარებლად განიხილება ნებისმიერი **ფიზიკური და იურიდიული პირი**, რომელსაც სურს საფინანსო პროდუქტის მიღება, მიუხედავად იმისა, ის ფინანსურ ორგანიზაციასთან რეალურად შევა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ნორმა გამორიცხავს ფინანსური ორგანიზაციის მომხმარებლად მიჩნევას.

⁴⁴ *Whittaker S.*, The Internal Relationships of EU Consumer Contract Laws: Unfair Contract Terms, Unfair Commercial Practices and CESL, Sellier European Law Publishers , 117.

⁴⁵ *ერქვანია თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და კანონი, N3'(30)11, თბილისი, 2011, 47.

⁴⁶ *ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 108.

⁴⁷ *Bourgoignie Th.*, Characteristics of Consumer Law, Journal of Consumer Policy 14, Netherlands, 1992, 298.

2.2. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში

სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განამტკიცებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს.⁴⁸

სახელშეკრულებო თავისუფლება მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ საკუთარი ინდივიდუალური სურვილები, აირჩიონ მათთვის სასურველი კონტრაქტი, ხელშეკრულების სასურველი სახე, ფორმა, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ მათი შინაარსი.⁴⁹ მითითებული პრინციპი ინდივიდებს ანიჭებს თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს ქცევის ზოგად სტანდარტს.⁵⁰ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ეპოქაში, საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიური განვითარების მიზნებისათვის.⁵¹ ხელშეკრულების თავისუფლების მიზანია, რომ მხარეებმა დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომელიც მათ ინტერესსა და ნებას შეესაბამება.⁵² სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მოქმედებს ხელშეკრულების დადებამდე და ამის შემდეგ მხარეები კისრულობენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ხელშეკრულების დადებამდე მხარის ნების თავისუფლების აუცილებლობას.⁵³ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ მოქმედებს მხოლოდ მორალური მიზნებისათვის, მეტიც დიდია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც მითითებული პრინციპი გახლავთ თავისუფალი სავაჭრო სისტემის განუყოფელი ნაწილი.⁵⁴

მიუხედავად სამოქალაქო სამართალში მოქმედი სახელშეკრულებო თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპებისა, პრაქტიკაში არსებობს ე.წ. „რეგულირებადი“ ხელშეკრულებები, რომლებიც სპეციალურ რეგულირებას ექვემდებარება, რაც მიზნად

⁴⁸ მითითებული ნორმის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“.

⁴⁹ გელაშვილი ი., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 17.10.2017, მუხლი 319, ველი 1.

⁵⁰ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, სამართლის ჟურნალი N1, 2014, თბილისი, 2015, 288.

⁵¹ გუგუტიშვილი მ., სახელშეკრულებო თავისუფლება და მისი საზღვრები ქართულ კერძო სამართალში, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ N6, თბილისი, 2016, 26.

⁵² ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 102. იხ. ციტირება: Busche in MüKo zum BGB, 6. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2012, vor §145, Rn. 6 <www.beck-online.beck.de> [10.02.2013].

⁵³ შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, მართლმსაჯულება და კანონი N4(23)'09, თბილისი, 2009, 47.

⁵⁴ Kessler F., Contracts of Adhesion-Some Thoughts About Freedom of Contract, Yale Law School 1-1-1943, 630.

ისახავს „სუსტი“ მხარის უფლებების დაცვას და ამგვარად სამართლიანობის უზრუნველყოფას.⁵⁵ თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის მიზანია, დაიცვას ხელშეკრულების „სუსტი“ მხარის ინტერესები, აიძულოს მხარეები კეთილსინდისიერებასა და გულისხმიერებაზე დააფუძნონ არსებული ურთიერთობა.⁵⁶

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში მხარეები ოპონირებას ახორციელებენ არათანაბარი პოზიციებიდან, კერძოდ, ერთი მხრივ, დგას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინანსური ორგანიზაცია, მეორე მხრივ, კი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც იღებს კრედიტს.⁵⁷ ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ე.წ. „მრუდე თანასწორობა“.⁵⁸ მხარეთა შორის არსებული მკვეთრი უთანასწორობა წარმოშობს მეწარმე ფინანსური ორგანიზაციის სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას, რომლითაც შესაძლებელი გახდება მოხმარებლის უფლებების დაცვა.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში ფინანსური დაწესებულების სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესებით,⁵⁹ მათ შორის, კეთილსინდისიერების პრინციპით, ნორმებით სტანდარტული პირობების ბათილობის შესახებ, სპეციალური ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული დებულებებით. გასათვალისწინებელია, რომ სახელშეკრულებო თავისუფლება უნდა იზღუდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ მასშტაბით, რომელიც აუცილებელია კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან მომხმარებლის უფლებების დაცვის მიზნებისათვის.⁶⁰ აღნიშნული შეზღუდვით ხდება იმ ნეიტრალური პირობების უზრუნველყოფა, რომელიც დაიცავს როგორც კრედიტის გამცემს, ასევე მოვალეს.⁶¹

მომხმარებლის ფინანსური მომსახურების სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი ამოცანები მდგომარეობს შემდეგში: 1. იმ პროდუქტის ხარისხის ამაღლების სტიმულირება, რომელიც შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს, არჩევანის

⁵⁵ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 56.

⁵⁶ ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი N3(26)'10, თბილისი, 2010, 24.

⁵⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.

⁵⁸ ლაკერბაია თ., ზალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპული სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 57. იხ. ციტირება გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებიდან Büрге, სადაც სასამართლომ ბათილად ცნო თავდებობის ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ ბანკს ოჯახის წევრის სასარგებლოდ ნაკისრი თავდებობის შემთხვევაში არ განუმარტავს თავდებობის შინაარსი და რისკები.

⁵⁹ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 109.

⁶⁰ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 27.

⁶¹ რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 186.

შეთავაზების გზით; 2. ფინანსური სერვისების მიმართ მომხმარებლის ნდობის ამაღლება იმის უზრუნველყოფით, რომ ერთი მხრივ, მომხმარებელს შეეძლოს დაცული და სწორი არჩევანის გაკეთება, მეორე მხრივ, კი ფინანსური მომსახურების გამწვევის სანდოობის ამაღლებით; 3. ინფორმაციის და რჩევის ხარისხის ამაღლება, რომელიც მომხმარებელს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს სწორი გადაწყვეტილება (ფინანსური ინფორმაციის, ზუსტი, შესაბამისი, დროული მიწოდებით და მაღალი ხარისხის რჩევის მიცემით).⁶²

საერთაშორისო ასპარეზზე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებასთან მიმართებით უმნიშვნელოვანესია ევროპის საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის N93/13/EEC დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში უსამართლო პირობების შესახებ.⁶³ აღნიშნული დირექტივის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სახელშეკრულებო პირობა, რომელიც არ ყოფილა ინდივიდუალურად შეთანხმებული მომხმარებელთან მიიჩნევა უსამართლო პირობად თუ ნდობის პრინციპის საწინააღმდეგოდ ის იწვევს მომხმარებლის საზიანოდ მნიშვნელოვან დისბალანსს მხარეთა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებს შორის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ სახელშეკრულებო პირობა მიიჩნევა ყოველთვის არაინდივიდუალურად შეთანხმებულად თუ ხელშეკრულების ტექსტი შედგენილია წინასწარ და მომხმარებელს არ გააჩნია სახელშეკრულებო პირობებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. თუ პირობის რომელიმე ასპექტი ან რომელიმე პირობა მხარეთა შორის შეთანხმდა ინდივიდუალურად, ეს არ გამორიცხავს დირექტივის მოქმედებას. მნიშვნელოვანია, რომ დირექტივის მე-3 მუხლი ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის გადანაწილებას, კერძოდ, პირი (გამყიდველი ან მიმწოდებელი), რომელიც აღნიშნავს, რომ პირობა ინდივიდუალურად შეთანხმდა მხარეთა შორის, ვალდებულია ამტკიცოს მითითებული ფაქტი. ამავე დირექტივის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით კი, ხელშეკრულების უსამართლო პირობები მომხმარებლისთვის არ არის მხოლოდ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი აქვს აღნიშნული დირექტივის რატიფიცირების ვალდებულება. აღნიშნული დირექტივით განმტკიცებული ნორმების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა კი ცალსახად შექმნის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ქმედით მექანიზმს.

ესპანეთის სასამართლომ გაერთიანებულ საქმეებზე Banco Santander SA v. Mahamadou Demba, Mercedes Godoy Bonet (Case C-96/16) and Rafael Ramón Escobedo Cortés v. Banco de Sabadell SA (Case C-94/17) წინასწარი გადაწყვეტილების მიღებისათვის მიმართა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნულ სასამართლოებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეჩნიათ კონკრეტული სახელშეკრულებო პირობა უსამართლოდ. აღნიშნულის საფუძველზე

⁶² Garcia Porras C.I., Van Boom W.H., Information Disclosure in the EU Consumer Credit Directive: Opportunities and Limitations, Rotterdam Institute of Private Law, Working Paper, 2012, 6-7.

⁶³ დირექტივის ელ. ვერსია ob: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31993L0013>.

სასამართლომ მიუთითა, რომ პირობა, რომლის მიხედვითაც პირგასამტეხლოს ოდენობა იყო საპროცენტო განაკვეთზე 2%-ით მეტი იყო უსამართლო ზემოაღნიშნული დირექტივის მიზნებისათვის. უზენაეს სასამართლოს აქვს უფლებამოსილება დაადგინოს კრიტერიუმები, რომლის მემწეობითაც ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსაზღვრავენ სახელშეკრულებო პირობის უსამართლობას. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ აქვთ უფლებამოსილება აღასრულონ უსამართლო პირობები მომხმარებლის წინააღმდეგ. ხელშეკრულება მოქმედებას აგრძელებს უსამართლო პირობის გარეშე და თუ ეს კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია ხელშეკრულება მიიჩნევა ბათილად.⁶⁴

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სსკ-ის 868-ე მუხლის მე-4 ნაწილი,⁶⁵ რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებაში სავალდებულოდ მისათითებელ ინფორმაციას.

მომხმარებლის უფლებების დაცვას ემსახურება სსკ-ის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნორმა, რომელზეც მიუთითებს სსკ-ის 868-ე მუხლის მე-7 ნაწილი და რომლის მიხედვითაც სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 50%-ზე მეტის განსაზღვრის შემთხვევაში აღნიშნული პირობა ჩაითვლება ბათილად.⁶⁶

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის მაგალითად ასევე განხილული უნდა იქნეს სსკ-ის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის.“ გამსესხებელს უფლება არ აქვს მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო, პირგასამტეხლო თუ ნებისმიერი სანქცია, რომელიც სესხის დარჩენილი ძირის 2 პროცენტს აღემატება.⁶⁷ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის

⁶⁴ იხ: <https://www.technologylawdispatch.com/2018/09/in-the-courts/ecj-ruling-on-fairness-of-disproportionately-high-default-interest-rate-in-consumer-loan-agreements/>.

⁶⁵ ნორმის მიხედვით, „საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას უნდა განისაზღვროს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვრები და ცვლილებათა მინიმალური შუალედი.“

⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ადგენს კანონსაწინააღმდეგო გარიგების/პირობის ბათილად ცნობის შესაძლებლობას.

⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

გამოხატულებას წარმოადგენს ნორმა,⁶⁸ რომლის საფუძველზეც „ 200 000 (ორასი ათას) ლარამდე საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბანკო კრედიტის გაცემის შედეგად მსესხებლის ჯამური ვალდებულებები ამავე საბანკო კრედიტის გამცემის მიმართ 200 000 (ორასი ათას) ლარს აღემატება“ .

საქართველოს კანონმდებლობა კრედიტორს ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას ანიჭებს იმ შემთხვევაში თუ კრედიტის ამღებმა გადააცილა კრედიტის დაფარვის ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას, ამასთან, კრედიტის გამცემის მიერ დამატებითი ორკვირიანი ვადის დაწესებას არ მოჰყვება არანაირი შედეგი ვალდებულების დაფარვის თვალსაზრისით.⁶⁹ სსკ-ის 873-ე მუხლი აზუსტებს დამატებითი ვადის ფარგლებს, ადგენს მინიმალური პერიოდის ზღვარს, რომლის დაწესებაც შესაძლებლობას მისცემს მოვალეს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. ბუნებრივია, ხელშეკრულების შეწყვეტას შედეგად მოჰყვება საკრედიტო სახსრების კრედიტის გამცემისთვის დაბრუნება.⁷⁰

მნიშვნელოვანია, სსკ-ის 871-ე მუხლით განმტკიცებული ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, კერძოდ: „თუ კრედიტისათვის შეთანხმებულია მყარი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდისათვის, მაშინ კრედიტის ამღებს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო ვალდებულება მთავრდება დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს.“ ამას გარდა, მომხმარებელთან დადებული იპოთეკით არაუზრუნველყოფილი საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის შემდეგ სამთვიანი ვადის დაცვით; 10 წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ შემთხვევაშია შესაძლებელი ხელშეკრულების შეწყვეტა ექვსთვიანი ვადის დაცვით; მოვალეს კი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია ნებისმიერ დროს სამთვიანი ვადის დაცვით.⁷¹

⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

⁶⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლი.

⁷⁰ შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი 2001, 203-204.

⁷¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 871-ე მუხლი.

III. ფიზიკური პირის დაკრედიტება

მომხმარებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მსესხებლის მიერ საბანკო კრედიტის გაცემის ეტაპზე.⁷²

თითქმის ყველა საბანკო ასოციაცია აღიარებს იმ ფაქტს, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპზე მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი სახელმწიფოში სწორი საბანკო პრაქტიკის მანიშნებელია.⁷³ მიუხედავად ამისა, სამართლებრივ დონეზე ამ ვალდებულების განმტკიცება კრედიტორებისთვის არ არის მისაღები, კერძოდ, კრედიტის გამცემები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულება არის ძვირი და რთული, რაც მათი პასუხისმგებლობის ფარგლებს ზრდის.⁷⁴ პრინციპის ეფექტურობისათვის აუცილებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება: 1. დაზუსტდეს კონცეფციის არსი, 2. მოხდეს იმ პირთა კლასიფიკაცია, რომლის რჩევაც იქნება ავტომატურად მისაღები, 3. განხორციელდეს მარეგულირებლების ფუნქციის დაზუსტება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პროცესში.⁷⁵ მომხმარებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ვალდებულებას⁷⁶ „საპასუხისმგებლო (პასუხისმგებლიანი) დაკრედიტების“ პრინციპი (Principle of Responsible Lending) ეწოდება.⁷⁷

„საპასუხისმგებლო დაკრედიტების“ პრინციპამდე არსებობდა მარკეტინგული სტრატეგიები, რომლებიც თითქოსდა მომხმარებელზე იყო ორიენტირებული, სინამდვილეში კი ბევრ პრობლემასა და უარეს შედეგს იწვევდა.⁷⁸ აღნიშნული სტრატეგიები გამოიხატებოდა შემდეგში: 1. საკრედიტო ბარათისა და ოვერდრაფტის ლიმიტის ავტომატური ზრდა, 2. ადამიანების წახალისება, რომ გადაეტანათ ბალანსი საკრედიტო ბარათებზე, მათთვის დაბალი საპროცენტო განაკვეთისა და მაღალი საკრედიტო ლიმიტის შეთავაზებით, 3. საკრედიტო ბარათზე მინიმალური გადასახადის შემცირება, 4. ჩეკების გამოშვება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იყო საკრედიტო ბარათის ანგარიშზე.⁷⁹

⁷² რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 178.

⁷³ Alleweldt F., Micklitz W-H., Rott P., and others, Broad Economic Analysis of the Impact of the Proposed Directive on Consumer Credit, Study, Brussels, 2007, 52.

⁷⁴ იქვე, 52.

⁷⁵ იქვე, 55.

⁷⁶ იქვე, 13.

⁷⁷ კრედიტორთა ვალდებულებას საპასუხისმგებლო დაკრედიტების თაობაზე აღიარებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის 26-ე პუნქტი.

⁷⁸ Kempson E., Over-indebtedness in Britain, A Report to the Department of Trade and Industry, Personal Finance Research Centre, September 2002, 40.

⁷⁹ იქვე, 40.

„საპასუხისმგებლო სესხების“ (Responsible Borrowing) პრინციპი მოითხოვს, რომ მომხმარებელმა მიაწოდოს კრედიტორს სწორი და ამომწურავი ინფორმაცია მისი მატერიალური მდგომარეობის შესახებ და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.⁸⁰ რაც შეეხება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპის არსს, მდგომარეობს შემდეგში: თუ კრედიტორები კრედიტის გაცემისას პირველ რიგში მეტ ყურადღებას დაუთმობენ მოვალის კრედიტუნარიანობას, ნაკლები მომხმარებელი დაარღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას.⁸¹

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 01 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა 2018 წლის 24 დეკემბერს მიღებული ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N281/04 ბრძანება.⁸² უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ბრძანების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის განსაზღვრავს ბრძანების მოქმედების ფარგლებს, კერძოდ, მისი მოთხოვნები ვრცელდება მათ შორის, ფიზიკურ პირებზე გაცემულ ყველა სახის სესხზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბრძანების რეგულირების სფერო მოიცავს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებასაც, ბრძანებით დადგენილი მხოლოდ ძირითადი დებულებების განხილვა რელევანტურია წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება: „ა) მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხზე; ბ) ფიზიკურ პირზე, რომლის ჯამური სასესხო ვალდებულებები სესხის გამცემი ორგანიზაციების მიმართ სესხის გაცემის შემდეგ აღემატება 2,000,000 ლარს, ან მის ეკვივალენტს უცხოური ვალუტით; გ) იმავე ან სხვა სესხის გამცემ ორგანიზაციაში რესტრუქტურირებულ სესხზე, თუ ამავდროულად არ ხდება ვალდებულებების ზრდა. ვალდებულებების ზრდად არ ჩაითვლება სესხზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს, ფინანსური სანქციის კაპიტალიზაცია და სხვა დაკავშირებული ხარჯი, როგორცაა ნოტარიუსისა თუ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების ხარჯი; დ) დასაკუთრებული უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრისათვის ან მისი ოჯახის წევრისათვის უკან დაბრუნების შემთხვევაზე, როდესაც გაიცემა შესაბამისი სესხი; ე) ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირის მიმართ თავდებობაზე/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდებაზე, თუ თავდები/უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელი წარმოადგენს ამ იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრს/პარტნიორს/აქციონერს ან პარტნიორის/აქციონერის საოჯახო მეურნეობის წევრს; ვ) ფინანსური ინსტრუმენტებით

⁸⁰ რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 183.

⁸¹ Sein K., Protection of Consumers in Consumer-Credit Contracts, Expectations and Reality in Estonia, 2013, 36.

⁸² „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე ბრძანების მიზანს წარმოადგენს „საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება“.

(მათ შორის, ფასიანი ქაღალდებით) და/ან ფულადი სახსრებით სრულად უზრუნველყოფილ სესხზე; ზ) ახალი ბინის შექმნისას, იპოთეკური სესხის იმ ნაწილზე, რომელსაც მსესხებელი ფიზიკური პირი დაფარავს მის საკუთრებაში (ახალი ბინის შექმნამდე) არსებული ბინის რეალიზაციით; თ) უძრავი ქონების სახით უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელზე, როდესაც მისი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია ამ დებულების მოთხოვნების დაცვით და უზრუნველყოფის საგანი არ წარმოადგენს უზრუნველყოფის მიმწოდებლის საცხოვრებელ ადგილს. საცხოვრებლად გამოყენების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს მესაკუთრის წერილობითი განცხადებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით.“⁸³ ამდენად, ბრძანება მისი რეგულირებიდან გამორიცხავს ურთიერთობათა საკმაოდ ფართო სპექტრს.

N281/04 ბრძანება განსაზღვრავს სესხის ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალურ ვადებს, კერძოდ, „იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრება 15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის – 10 წელი, სატრანსპორტო სესხის – 6 წელი, სხვა დანარჩენი სამომხმარებლო სესხებისთვის (გარდა რევოლვირებადი პროდუქტებისა) – 4 წელი.“⁸⁴ მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი წესის მიხედვით, „გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე გაცემული სესხის შემთხვევაში, სესხის გამცემის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად მიიჩნევა მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალება და მსესხებელმა საგანი განზრახ გადაამალა/გაანადგურა.“⁸⁵

მითითებული ბრძანება ეფუძნება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპს, რაც მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. ბრძანების ძალაში შესვლამდე ხშირად ფინანსური ორგანიზაცია გასცემდა დიდი მოცულობის კრედიტს ისე რომ არათუ შესაბამის მონაცემთა ბაზებს არ ამოწმებდა, მომხმარებლისგანაც კი არ იღებდა გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაციას და არ ითხოვდა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას, რაც შედეგად იწვევდა იმას, რომ მომხმარებელი ვერ ახერხებდა ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, რის გამოც კრედიტის გამცემს მსესხებლის წინააღმდეგ სასამართლო დავის წამოწყება უხდებოდა.

დღეის მდგომარეობით მოქმედი რეგულაციით „სესხის გამცემი ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპით: **სესხის გაცემა**

⁸³ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი.

⁸⁴ იქვე, 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტი.

⁸⁵ იქვე, 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი.

ან/და თავდებობა/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდებაზე მოთხოვნა დაუშვებელია გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე⁸⁶, გარდა ამ დებულებით განსაზღვრული გამონაკლისებისა. გადახდისუნარიანობის ანალიზი მოიცავს: ა) პირის შემოსავლების, ხარჯებისა და ჯამური ვალდებულებების დეტალურ ანალიზსა და სესხის საჭიროების შემოწმებას; ბ) გონივრულობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმებას; გ) ბიუროში საკრედიტო ისტორიის გადამოწმებას; დ) ყველა იმ დამატებითი ფაქტორის გათვალისწინებას, რომელმაც შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ვალდებულებების მომსახურებაზე; ე) მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მსესხებლის მიერ მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების გარეშე სესხის მომსახურების შესაძლებლობის განსაზღვრას.⁸⁷ ამდენად, ნორმა იცავს რა მსესხებლის უფლებებს, კრედიტორს აკისრებს საკმაოდ ფართო ვალდებულებებს მომხმარებლის კრედიტუნარიანობის შეფასებასთან მიმართებით, რაც მისასაღმებელია. მნიშვნელოვანია, რომ „სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ სესხის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული აქტივის ღირებულება აღემატება სესხის მოცულობას“⁸⁸, რაც კიდევ ერთხელ უსვამს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპის არსს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, N281/04 ბრძანების მე-3 მუხლი ასევე განსაზღვრავს თანამსესხებელთათვის ჯამური კოეფიციენტის დაანგარიშების წესს, ყოველთვიურ შემოსავლებსა და გადასახადებს შორის სხვაობის მინიმალურ ოდენობას, საშეღავათო პერიოდის მაქსიმალურ მოცულობას და სხვ.

N281/04 ბრძანების დანართი N1 და N2 ადგენენ სესხის მომსახურების მაქსიმალურ კოეფიციენტებს და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მაქსიმალური მაჩვენებლებს, რაც წარმოადგენს ერთგვარ ლიმიტს და ფინანსურ ორგანიზაციას უკრძალავს დადგენილი ზღვრის დარღვევას. ბრძანებით რეგულირდება შემოსავლის დაანგარიშების წესი.⁸⁹

ბრძანება ასევე განსაზღვრავს ფიზიკური პირის შემოსავლების დადასტურების საფუძვლებს, კერძოდ, ზოგადი წესის მიხედვით, გამოიყენება საბანკო ანგარიშიდან სახელფასო ამონაწერი ან სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა.⁹⁰

⁸⁶ იხ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის მე-8 მუხლი.

⁸⁷ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸⁸ იქვე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁹ იქვე, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ „ყოველთვიური წმინდა შემოსავლის დაანგარიშების მიზნებისათვის, როდესაც სახეზეა ყოველთვიურისგან განსხვავებული პერიოდულობის მქონე რეგულარული შემოსავლები, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს მაქსიმალური მნიშვნელობა, შესაბამისი პერიოდის მედიანურ და საშუალო მაჩვენებლებს შორის.“

⁹⁰ იქვე, მე-6 მუხლი.

ზემოაღნიშნული დებულებების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დამრღვევი ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს სანქციები.⁹¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებული ბრძანება მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნის მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რამდენადაც ეფუძნება ე.წ. „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების“ პრინციპს. ბრძანებას არ გააჩნია უკუმაღლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება ბრძანების ამოქმედებამდე გაცემული კრედიტის მოცულობის გაზრდა.⁹²

IV. კრედიტის გამცემის ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

4.1. რეკლამები და მარკეტინგული განცხადებები

ფინანსური ორგანიზაციის მიერ მსესხებლებისთვის სრული, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის თავისუფალი ნების ფორმირებას. უდავოა ის გარემოება, რომ რეკლამებსა და მარკეტინგულ განცხადებებში გაჟღერებული ინფორმაცია დიდ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.⁹³ ჰოლანდიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რეკლამირება არ იწვევს კრედიტის მიმართ მომხმარებელთა მოთხოვნის განვითარებას, არამედ ეხმარება მსესხებელს ჩამოიყალიბოს ნდობა კრედიტის გამცემთა მიმართ, რის გამოც განმეორებად რეკლამებს აქვს მიჩვევითი ეფექტი, რაც განაპირობებს „უპასუხისმგებლო სესხების არსებობას“.⁹⁴

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის მე-4 მუხლი არეგულირებს სტანდარტული ინფორმაციის მომხმარებლისთვის გადაცემას, რომელიც ეხება რეკლამის ისეთ სახეს, როგორცაა ციფრების შემცველი განცხადება. სხვა სახის რეკლამებთან მიმართებით კი მოქმედებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის 2005/29/EC დირექტივა არასამართლიანი კომერციული პრაქტიკის შესახებ.⁹⁵ რეკლამის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ასევე

⁹¹ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების მე-7 მუხლი.

⁹² იქვე, მე-8 მუხლი.

⁹³ Garcia Porras C.I., Van Boom W.H., Information Disclosure in the EU Consumer Credit Directive: Opportunities and Limitations, Rotterdam Institute of Private Law, Working Paper, 2012, 23.

⁹⁴ იქვე, 23.

⁹⁵ ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 142.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2002/65/EC მომხმარებელთა ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ. ამ უკანასკნელი დირექტივის მე-3 მუხლი ადგენს საკმაოდ ვრცელ და ამომწურავ ჩამონათვალს იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს დისტანციურად ხელშეკრულების დადებამდე.

ციფრების შემცველ განცხადებაში 2008/48/EC დირექტივის მიზნებისათვის აუცილებელია კრედიტის სრული თანხის, საპროცენტო განაკვეთის (სრული ხარჯების ჩათვლით), ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო შეთანხმების ხანგრძლივობის (აუცილებლობის შემთხვევაში), განვადებით დადებულ ხელშეკრულებაში ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადასახდელი თანხისა და წინასწარ შესატანი თანხის ოდენობის, მომხმარებლის მიერ გადასახდელი სრული თანხის ოდენობისა და პერიოდულად გადასახდელი თანხების სიდიდის შესახებ ინფორმაციის ასახვა, რომელიც წინასახელშეკრულებო ეტაპზე მხარეთა შორის მოლაპარაკების საგანი გახდება.⁹⁶ მსგავსი ინფორმაცია რეკლამებსა და განცხადებებში აისახება „საჩვენებელი მაგალითის“ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიცხადეს, სიმარტივესა და გამომხატველობას.⁹⁷ დირექტივით გათვალისწინებული „სტანდარტული ინფორმაცია“ საშუალებას უნდა აძლევდეს მომხმარებელს ერთმანეთს შეადაროს ფინანსური ორგანიზაციების განსხვავებული შეთავაზებები და მიიღოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილება.⁹⁸

რაც შეეხება საქართველოში არსებულ რეგულირებას რეკლამებსა და მარკეტინგულ განცხადებებში ინფორმაციის მიწოდების საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ „საფინანსო პროდუქტის შეთავაზების (მათ შორის, ნებისმიერი ფორმით და საშუალებით რეკლამირების) დროს, ფინანსური ორგანიზაციის მიერ არ უნდა მოხდეს საფინანსო პროდუქტის მახასიათებლების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და/ან შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი. მიწოდებული/მიუწოდებელი ან/და არასრულად მიწოდებული ინფორმაცია მომხმარებელს არ უნდა უზიარებდეს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.“⁹⁹

მითითებული ბრძანება მოითხოვს, რომ „მომხმარებლისგან თანხის მოზიდვასთან დაკავშირებული საფინანსო პროდუქტების შესახებ სარეკლამო შეთავაზებებისას,

⁹⁶ Directive 2008/48/EC, Article 4.

⁹⁷ ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 142.

⁹⁸ Garcia Porras C.I., Van Boom W.H., Information Disclosure in the EU Consumer Credit Directive: Opportunities and Limitations, Rotterdam Institute of Private Law, Working Paper 2012, 12.

⁹⁹ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

ფინანსურმა ორგანიზაციამ გამოიყენოს გამჟღავნების ტექსტის სრული ან შემოკლებული ვერსია.¹⁰⁰ ბრძანება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით განსაზღვრავს სარეკლამო მასალის მომზადებისას გასათვალისწინებელ სავალდებულო წესებს, მათ შორის, პროდუქტის რეკლამირებისას შეთავაზებაში ამ საფინანსო პროდუქტის ფასის განმსაზღვრელი ნებისმიერი პარამეტრის მითითების შემთხვევაში ეფექტური საპროცენტო სარგებლის მითითების ვალდებულება; კრედიტის მომხმარებელზე პირადად (ასევე დისტანციურად), შეთავაზების შემთხვევაში საფინანსო პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითების ვალდებულება; საფინანსო პროდუქტის შეთავაზებაში არსებული ყველა პარამეტრის ფონტის ზომისა და ვიზუალის იდენტურობის ვალდებულება; იმ შემთხვევაში, როდესაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ არის ცალსახა, მაგალითის ჩვენების ვალდებულება; ნებისმიერი, მათ შორის, ბეჭდვითი, სატელევიზიო ან სხვა მედიაში რეკლამირების დროს გამჟღავნების ტექსტის განთავსების ვალდებულება.¹⁰¹

4.2. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ეტაპზე

გარდა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების/სესხების პრინციპისა, წინასახელშეკრულებო ეტაპზე გამოიყოფა გამსესხებლის შემდეგი ვალდებულებები: „ა) ინფორმაციის მიწოდების; ბ) რჩევის მიცემის.“¹⁰²

4.2.1. ინფორმაციის გამჟღავნება

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის მე-5 მუხლი არეგულირებს სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც საკმაოდ დეტალიზებულია და მიზნად ისახავს მომხმარებლის უფლებების დაცვას.¹⁰³

¹⁰⁰ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰¹ იქვე, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁰² ლაკერბაია თ., ზალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 143.

¹⁰³ იხ. „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3 -6 მუხლები.

დირექტივის მიზნებისათვის მომხმარებელს მითითებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს არაორაზროვნად, ლაკონურად და თვალსაჩინოდ.¹⁰⁴

მნიშვნელოვანია კრედიტორის ვალდებულება იმის თაობაზე, რომ უზრუნველყოს ინფორმაციის გახსნილობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მსესხებლებს კონკრეტული პროდუქტის საფრთხეებისა და რისკების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გააკეთონ გონივრული და თავისუფალი არჩევანი.¹⁰⁵ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს თანმიმდევრული, შედარებადი ინფორმაცია, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს უკეთესი პირობებით დადოს საბანკო კრედიტის ხელშეკრულება.¹⁰⁶

მნიშვნელოვანია, რომ N151/04 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია შემდეგი ვალდებულება: „ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ **უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება**. მათ შორის, პროდუქტის ნებისმიერი არხით შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, **რომელიც მომხმარებელს არ უზიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში**“. მოცემული რეგულირება ავალდებულებს კრედიტის გამცემს მომხმარებელს მიაწოდოს ობიექტური სრული ინფორმაცია, რომელიც პოტენციურ მსესხებელს არ უზიძგებს გაუცნობიერებლად საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დადებისკენ და ხელს შეუწყობს მისი თავისუფალი ნების ფორმირებას.

საქართველოს კანონმდებლობა ცალკე გამოყოფს სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან¹⁰⁷ დაკავშირებით კრედიტორის ვალდებულებებს ინფორმაციის მიწოდების კონტექსტში. N151/04 ბრძანების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების შესახებ. ... როგორც მატერიალურად და/ან დისტანციურად დადებულ

¹⁰⁴ რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 182. ობ. ციტირება: Directive 2008/48/EC, recital (18).

¹⁰⁵ Garcia Porras C.I., Van Boom W.H., Information Disclosure in the EU Consumer Credit Directive: Opportunities and Limitations, Rotterdam Institute of Private Law, Working Paper, 2012, 4.

¹⁰⁶ Collins C., Consumer Credit, 1983, Ann. Surv. Am. L. 497 (1983), 506.

¹⁰⁷ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტს განმარტავს როგორც „კრედიტს, მათ შორის, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, რომლის მთლიანი თანხა აღემატება 300 ლარს და ნაკლებია 200 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში.“ დეფინიცია არ ვრცელდება იურიდიულ პირზე თუ ამ საფინანსო ორგანიზაციაში მისი უკვე გაცემული და აქტიური კრედიტების ან დეპოზიტების ჯამური მოცულობა აღემატება 200 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.

ხელშეკრულებებში, ასევე ვერბალურადაც საფინანსო პროდუქტის შეთავაზებისას და ამ საფინანსო პროდუქტთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებამდე“. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ფინანსურ ორგანიზაციას აკისრებს სავალუტო რისკისა (უცხოურ ვალუტაში კრედიტის არსებობისას) და კრედიტზე გადასახდელი თანხის ზრდის რისკის (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. რაც ყველაზე მთავარია, „ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია კრედიტის დაუბრუნებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებულ რისკებზე – მაგალითად, მიმდინარე ანგარიშების დაყადაღების, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების კრედიტის დასაფარად რეალიზაციის შესაძლო რისკებზე“.¹⁰⁸

N151/04 ბრძანების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს ხელშეკრულების თავსართის შედგენის ვალდებულებას, რომელშიც მითითებული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს მომხმარებლისათვის აღქმადი ფონტით, არანაკლებ 12-ისა. თავსართში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაციის ჩამონათვალს განსაზღვრავს N151/04 ბრძანების მე-5 მუხლი.

მიჩნეულია, რომ ზედმეტი ინფორმაციის მიწოდება უარყოფით გავლენას ახდენს ხელშეკრულების დადების პროცესზე და არ განაპირობებს მომხმარებლის თავისუფალ თუ უკეთეს გადაწყვეტილებას.¹⁰⁹ სპეციალური ცოდნის არმქონე მომხმარებელს უჭირს ზედმეტი ინფორმაციის დამუშავება, რაც შესაძლებელია მისი მხრიდან არასწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს, რის თავიდან ევროპის საზოგადოება ცდილობს შემდეგი მეთოდებით; 1. ინფორმაციის სირთულის შემცირება მათი სტანდარტიზაციის გზით; 2. ფინანსურ სექტორში ინფორმაციის მიწოდება რამდენიმე ეტაპად.¹¹⁰

4.2.2. რჩევის მიცემის მოვალეობა

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი საკრედიტო ორგანიზაციებს აკისრებს ვალდებულებას მიაწოდონ მომხმარებელს ადეკვატური ინფორმაცია, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას შეაფასოს რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული პირობები მის

¹⁰⁸ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰⁹ Ebers M., INFORMATION AND ADVISING REQUIREMENTS IN THE FINANCIAL SERVICES SECTOR: Principles and Peculiarities in EC Law, Electronic Journal of Comparative Law, vol. 8.2 (June 2004), 8-9.

¹¹⁰ იქვე, 8-9.

საჭიროებებსა და მატერიალურ მდგომარეობას.¹¹¹ კრედიტორმა აღნიშნული ვალდებულება უნდა შეასრულოს წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების გზით, რაც ლიტერატურაში რჩევის მიცემის მოვალეობის (Duty to Assist) სახელითაა ცნობილი.¹¹² კრედიტორისათვის რჩევის მიცემის ვალდებულების დაკისრება საშუალებას აძლევს მომხმარებელს გააცნობიეროს რისკები და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დადებასთან მიმართებით, რასაც მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ვერ უზრუნველყოფს.¹¹³ წინასახელშეკრულებო ინფორმაცია და ურთიერთობის სპეციფიკა მომხმარებელს მიეწოდება ინდივიდუალურად.¹¹⁴

რჩევის მიცემის ვალდებულება, მისი ფარგლები დამოკიდებულია მომხმარებლის ფინანსურ განათლებაზე, კერძოდ, მსესხებელს უნდა გააჩნდეს შემდეგი სამი სახის უნარები: კითხვისა და წერის უნარი, სხვადასხვა დოკუმენტიდან და ადგილიდან ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა და რიცხვებში გამოხატული ინფორმაციის გაგების უნარი.¹¹⁵ აშშ-ში ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მაგალითად, საკრედიტო ხელშეკრულებები მოითხოვს მხოლოდ 3 წლიან კოლეჯის განათლებას, თუმცა მომხმარებლები აღნიშნულ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებენ - აშშ-ში მომხმარებელთა 96%-ს არ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია და გამოთვალოს საკრედიტო ხარჯები ხელშეკრულებიდან გამომდინარე; ასევე, გამოკითხულ მომხმარებელთა შორის ყოველმა მესამემ ვერ მოახერხა ხელშეკრულებაში საპროცენტო განაკვეთის პოვნა.¹¹⁶ 2008 წლის ივნისში მსოფლიო ბანკის მიერ რუსეთში ჩატარდა კვლევა მომხმარებლის ფინანსური განათლების დადგენის მიზნით, რომლითაც განათლების არადამაკმაყოფილებელი დონე გამოვლინდა, კერძოდ, 6 საბაზისო კითხვაზე მხოლოდ რესპოდენტების 19%-მა გასცა 5 კითხვას პასუხი სწორად, 25%-მა კი ვერ შეძლო ერთ კითხვაზე მეტისთვის სწორი პასუხის გაცემა.¹¹⁷ ფინანსური განათლება შესაძლებლობას აძლევს მსესხებლებს თავიდან აიცილონ არასაჭირო რისკები, ზედმეტი ხარჯები, გააცნობიერონ ფინანსური სარგებელი იმ პროდუქტებისა, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაციები მათ სთავაზობენ.¹¹⁸

¹¹¹ *ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 144-145.

¹¹² *იქვე*, 144-145.

¹¹³ *იქვე*, 145.

¹¹⁴ *რამიშვილი ა.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 182. იხ. ციტირება: Directive 2008/48/EC recital (27).

¹¹⁵ *Garcia Porras C.L., Van Boom W.H.*, Information Disclosure in the EU Consumer Credit Directive: Opportunities and Limitations, Rotterdam Institute of Private Law, Working Paper, 2012, 17.

¹¹⁶ *იქვე*, 18.

¹¹⁷ *Rutledge S.L.*, Consumer Protection and Financial Literacy, Lessons from Nine Country Studies, The World Bank, Europe and Central Asia Region, Finance and Private Sector Department, 2010, 33.

¹¹⁸ EBF Report on Financial literacy, Financial literacy - Empowering Consumers to Make the Right Choices, European Banking Federation (a.i.s.b.l.), D0305C-2009, Brussels, 2009, 2.

4.3. ინფორმაციის მიწოდების ფორმა და მტკიცების ტვირთი

თანამედროვე ეპოქაში მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ საკუთარი თავის ინფორმირება და გარემოებების განსჯის შედეგად მიიღონ გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნული საკმაოდ რთულია იმ პირებისთვის, რომელთაც გააჩნიათ მცირე ოდენობის შემოსავალი და ნაკლები გამოცდილება საბანკო სფეროში.¹¹⁹

როგორც წესი, ხელშეკრულების ნამდვილობისთვის კონკრეტული ფორმის დაცვა სავალდებულო არ არის, მაგრამ შესაძლებელია კანონი ადგენდეს ფორმას, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობას.¹²⁰ „გარიგების წერილობითი ფორმით დადებას აქვს (1) გაფრთხილების, ანუ ნების ნაჩქარევად (დაუფიქრებლად) გამოვლენისგან დაცვის ფუნქცია; (2) სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია; (3) იდენტიფიცირების და ნამდვილობის ფუნქცია; (4) ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციის გაწევის ფუნქცია“.¹²¹ წერილობით ფორმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო კრედიტის სამართალში, რამდენადაც მომხმარებელს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა გააცნობიეროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე რისკები, რასაც სწორედ წერილობითი ფორმა უზრუნველყოფს. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს დეტალურ სამართლებრივ განმარტებას, რაც დაკავშირებულია მხარეთა განსხვავებულ სტატუსთან/მდგომარეობასთან.¹²² მიუხედავად კანონისმიერი აკრძალვის არარსებობისა, პრაქტიკაში საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სწორედ წერილობითი ფორმით იდება, რაც გამომდინარეობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნებიდან.¹²³

საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის მიწოდებისას უპირატესობას ანიჭებს წერილობით ფორმას, მათ შორის ელექტრონულსაც და მხოლოდ წერილობითი

¹¹⁹ *Brix L., McKee K.*, Consumer Protection Regulation in Low-Access Environments: Opportunities to Promote Responsible Finance, GCAP Focus Note, 2010, 2.

¹²⁰ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 88.

¹²¹ *დარჯანია თ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 69, ველი 4.

¹²² *ამირანაშვილი გ.*, გარიგების ფორმის ფუნქციები, სამართლის ჟურნალი N1, 2016, თბილისი, 2016, 58.

¹²³ *რამიშვილი ა.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისი, 2012, 185. იხ. ციტირება: *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი 2, რედ: *ნინიძე თ.*, ქართული თარგმანი სუმბათაშვილი ე., თბილისი, 2001, 64.

ფორმით ინფორმაციის მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში გამოიყენება ზეპირი ფორმა.¹²⁴

მტკიცების ტვირთი ლიტერატურაში განიხილება პროცესის მონაწილეთა მოვალეობად შეასრულონ გარკვეული ვალდებულებები, ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მათთვის არასასურველი სამართლებრივი შედეგი დადგება.¹²⁵ მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის გამოხატვის შესახებ მტკიცების ტვირთს საქართველოს კანონმდებლობა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით აკისრებს კრედიტორს.¹²⁶

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში კრედიტორის მტკიცების ტვირთი კიდევ უფრო გაფართოვდა და აღინიშნა, რომ „მტკიცების ტვირთი ინფორმაციისა და განმარტების ვალდებულების სრულფასოვან შესრულებაზე ეკისრება საკრედიტო დაწესებულებას, სწორედ მის ხელთ არის ბერკეტი იმისა, რომ შექმნას სარწმუნო მტკიცებულებები ინფორმირების ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად.“¹²⁷ არგუმენტაციის თვალსაჩინოებისთვის სასამართლომ მოიხმო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელმაც 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა „... ეფექტურობის პრინციპი ხორციელდება იქ, სადაც კრედიტორმა უნდა დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ ინფორმირების და განმარტების წინასახელშეკრულებო ვალდებულება მის მიერ შესრულდა. გონიერი კრედიტორი უნდა აცნობიერებდეს მტკიცებულებების შეგროვების და შენახვის აუცილებლობას, რომ მის მიერ ვალდებულება ინფორმაციის უზრუნველყოფის და განმარტების თაობაზე შესრულებულია... (Court of Justice of the European Union 18 December 2014. Judgement in case C-449/13.CA Consumer Finance SA V Ingrid Bakkaus and Others).“¹²⁸

¹²⁴ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁵ გაგუა ი., სამართლის როლი და ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას (შედარებითსამართლებრივი დახასიათება), სამართლის ჟურნალი N1, 2013, თბილისი, 2014, 48.

¹²⁶ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3¹ მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹²⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე N2/8628-16.

¹²⁸ იქვე.

V. მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები

5.1. დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში

მომხმარებლის უფლებების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარი გვაქვს დიდი მოცულობის გრძელვადიან კრედიტზე.¹²⁹ ჩვეულებრივ გრძელვადიან საბანკო კრედიტად მიიჩნევა კრედიტი, რომლის დაბრუნების ვადა აღემატება 1 წელს.¹³⁰

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სესხის ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლად რეგულირებით, სამოქალაქო კოდექსის მიერ გაზიარებულია „სუსტი“ და „ძლიერი“ მხარეების სამართლებრივი კონსტრუქცია, რომლის მიზანია დაიცვას მომხმარებელი საბანკო ურთიერთობებში არსებული რისკებისაგან.¹³¹ „პოზიციური ბალანსის დაცვა ფაქტობრივად უზრუნველყოფს სუსტი მხარის დამატებით უფლებებს და შესაბამისად, აკისრებს მის ოპონენტს იმაზე მეტ ვალდებულებებს, ვიდრე სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში.“¹³² მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ მომხმარებელთა უფლებების გადაჭარბებულ დაცვას შეუძლია გამოიწვიოს შედეგი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მოვალის უფლებების დაცვის მიზნებთან.¹³³

კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლები ირჩევენ იმ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს მათ გადასახდელ ყოველწლიურ პროცენტს, მომხმარებელთა დაახლოებით 40% ირჩევს სუბოპტიმალურ ხელშეკრულებას, რითაც თავიდან იცილებს ასობით დოლარის ოდენობით პროცენტის გადახდას.¹³⁴

მითითებულ თავში განხილული იქნება საქართველოს კანონმდებლობა, ნორმები, რომელთა მიზანს წარმოადგენს მომხმარებლის უფლებების დაცვა საბანკო კრედიტის სფეროში.

¹²⁹ *Saribekian K.*, Bank Credit Risk-Management for Long-Term Loan Financing: Financial Analysis and Assessment of Credit Quality of the Borrower, 1.

¹³⁰ იქვე, 1.

¹³¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.

¹³² იქვე.

¹³³ *Porteous D., Helms B.*, PROTECTING MICROFINANCE BORROWERS, CGAP, 2005, 6.

¹³⁴ *Agarwal S., Chomsisengphet S., Liu Ch., Souleles N.S.*, Do Consumers Choose the Right Credit Contracts? University of Pennsylvania 9-2015, Wharton Faculty Research, 4.

5.1.1. დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები

თანამედროვე ეპოქაში ელექტრონული ვაჭრობა წარმოადგენს მომხმარებლისთვის მიმზიდველ სფეროს, რამდენადაც პირებს უჩნდება შესაძლებლობა შეიძინონ მათთვის სასურველი საქონელი და მომსახურება სახლიდან გაუსვლელადაც კი.¹³⁵ თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დისტანციურად დადება მნიშვნელოვან საფრთხეებთანაა დაკავშირებული - მთავარი საფრთხე ინფორმაციის ასიმეტრიულობაში მდგომარეობს.¹³⁶ ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებების დადება უკავშირდება დროის რესურსის დაზოგვას, რის გამოც ხელშეკრულების დადების მითითებული ფორმატი მსოფლიოში უფროდაუფრო გამოყენებადი ხდება.¹³⁷ ფინანსური ორგანიზაცია ადგენს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობებს, რომელსაც მომხმარებელი სრულიად გაუცნობიერებლად თანხმდება განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მსგავსი ტიპის ხელშეკრულება ძირითადად გაჯერებულია უცხო ტერმინოლოგიით, რაც კიდევ უფრო ართულებს მომხმარებლის მიერ შემოთავაზებული პირობების აღქმას მაშინ, როდესაც პირდაპირი კომუნიკაციის პირობებში არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ მომხმარებელი კრედიტორს დაუსვამს მისთვის სასურველ შევითხვას, რაიმე პირობის ბუნდოვანების შემთხვევაში მოითხოვს მის განმარტებას/შეცვლას და სხვ.¹³⁸ ამდენად, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეულ „ინფორმაციულ ვაკუუმთან“, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მხოლოდ თანხმობა გამოხატოს აღნიშნულ პირობებთან მიმართებით და მოკლებულია შემოთავაზებულ პირობებზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას.¹³⁹

დისტანციური ხელშეკრულების ზემოაღნიშნული თავისებურება დღის წესრიგში აყენებს მისი განსაკუთრებული რეგლამენტირების აუცილებლობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მომხმარებლის უფლებების სათანადო დაცვა.

N151/04 ბრძანების მე-3¹ მუხლის 1-ლი პუნქტი უშვებს ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის საფინანსო პროდუქტის პირობებზე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით შეთანხმებას, ხელშეკრულების დადებას/ ცვლილების შეტანას. მნიშვნელოვანია აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის დათქმა, რომელიც ავალდებულებს ფინანსურ ორგანიზაციას „დისტანციურად დადებული

¹³⁵ ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 227 და შემდგომში.

¹³⁶ იქვე, 228-229.

¹³⁷ ფაჩუაშვილი ნ., ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, სამართლის ჟურნალი N2, 2017, თბილისი, 2016, 102.

¹³⁸ ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 229-230.

¹³⁹ იქვე, 229 და შემდგომში.

ხელშეკრულების პირობების ძალაში შესვლამდე გონივრული ვადით ადრე მატერიალურად ან მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი სხვა სანდო საშუალებით მიაწოდოს მას სახელშეკრულებო პირობები ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული სავალდებულო ინფორმაციით.“ თუ დისტანციურად ხელშეკრულების დადების ფორმატი შეუძლებელს ხდის ამ ვალდებულების შესრულებას ზემოაღნიშნული ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებისთანავე.¹⁴⁰

მომხმარებლის დაცვის მიზნებიდან გამომდინარეობს მითითებული ბრძანების მე-3¹ მუხლის მე-6 პუნქტით განმტკიცებული ვალდებულება იმის შესახებ, რომ „დისტანციურად დადებული ხელშეკრულება მატერიალური სახით მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ასევე პირობების შეცვლისას ყველა ასეთ შემთხვევაში, მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასოდ.“

მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული ბრძანების მე-3¹ მუხლის მე-8 პუნქტის რეგულირება, რომლის მიხედვითაც, „თუ მომხმარებლისთვის საფინანსო პროდუქტის შესათავაზებლად დისტანციური კომუნიკაციის საშუალებად გამოყენებულია სატელეფონო ზარი, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს საუბრის დასაწყისში ცხადად და გასაგებად გააცნოს ფინანსური ორგანიზაციის დასახელება და სატელეფონო ზარის მიზანი. მომხმარებლის მხრიდან საუბრის გაგრძელებაზე მკაფიო თანხმობის მიღების შემდეგ ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელმა უნდა მიაწოდოს საკუთარი ვინაობა და თავისი კავშირი ფინანსურ ორგანიზაციასთან და მიაწოდოს მას კანონით დადგენილი ინფორმაცია, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში კი - დეტალური ინფორმაცია.“

ამდენად, ცალსახაა, რომ N151/04 ბრძანება მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში ქმნის გარკვეულ გარანტიებს, თუმცა ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ორგანიზაციის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას.

5.1.2. ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის ხელშეკრულების გაფორმებისას

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში მომხმარებლის დაცვის რეჟიმი მოითხოვს სამი კომპონენტის დაკმაყოფილებას: 1. მომხმარებელმა უნდა მიიღოს ზუსტი ინფორმაცია მარტივი და უბრალო ენით, სანამ ის შეიძენს პროდუქტს/სერვისს, ისევე როგორც

¹⁴⁰ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3¹ მუხლის მე-4 პუნქტი.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ; 2. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს წვდომა სწრაფ, იაფ და ეფექტურ ფინანსურ ორგანიზაციასთან არსებული დავის გადაჭრის მექანიზმზე; 3. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ფინანსური განათლება, როცა სურს და რა ფორმითაც სურს.¹⁴¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, N151/04 ბრძანება სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტის ხელშეკრულებასთან მიმართებით ითვალისწინებს „თავსართის“ შედგენის ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რომელშიც მიეთითება კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულად.¹⁴²

მიითითებული ბრძანების მე-5 მუხლი ითვალისწინებს დეტალურ ჩამონათვალს თავსართში მისათითებელ ინფორმაციასთან მიმართებით, რაც მომხმარებელს დამატებითი დაფიქრების შესაძლებლობას აძლევს შემოთავაზებულ პირობებთან მიმართებით. უნდა აღინიშნოს, რომ თავსართში სავალდებულოდ მისათითებელ ინფორმაციას არ წარმოადგენს ის სტანდარტული პირობები, რომლებიც მომხმარებელს დიდი რისკის ქვეშ აყენებს და მათი ნამდვილობა მოითხოვს მომხმარებლის მხრიდან თავისუფალი ნების გამოვლენას, რის გამოც ცალსახაა, რომ თავსართის შედგენა ვერ უზრუნველყოფს „სუსტი“ მხარის ინტერესების სათანადოდ დაცვას.

N151/04 ბრძანების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტი ფინანსურ ორგანიზაციას აკისრებს ხელშეკრულების გაფორმებამდე მომხმარებლისათვის ფინანსური ხარჯების გაცნობის ვალდებულებას და მხოლოდ თანხმობის შემდეგ აძლევს მასთან ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას.

მიითითებული ბრძანების მნიშვნელობა სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან მიმართებით იმაშიც გამოიხატება, რომ ბრძანების მე-6 მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებაში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაციის ჩამონათვალს.¹⁴³ ბრძანება ფინანსურ ორგანიზაციას ავალდებულებს მიაწოდოს მომხმარებელს ხელშეკრულების დედანი ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ასლი.¹⁴⁴ ხელშეკრულების დედანის ან ასლის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რამდენადაც მსესხებელს ზუსტი

¹⁴¹ *Rutledge S.L., Consumer Protection and Financial Literacy, Lessons from Nine Country Studies, The World Bank, Europe and Central Asia Region, Finance and Private Sector Department, 2010, 8.*

¹⁴² „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴³ იხ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴⁴ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

ინფორმაცია უნდა ჰქონდეს სახელშეკრულებო პირობების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სრულყოფილად ვერ შეძლებს საკუთარი უფლებების დაცვას.

N151/04 ბრძანება განსაზღვრავს საკმაოდ ვრცელ და დეტალურ ჩამონათვალს სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში სავალდებულოდ მისათითებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით.¹⁴⁵ N151/04 ბრძანების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი კი ფინანსურ ორგანიზაციას აკისრებს ვალდებულებას „მომხმარებელს შესთავაზოს, ხოლო მომხმარებლის თანხმობის ან მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მატერიალურად ან მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სხვა სანდო საშუალებით მიაწოდოს ხელშეკრულების ნიმუში, რომელშიც სრულად იქნება მითითებული ხელშეკრულების ყველა ზოგადი მუხლი და წინასწარ ცნობილი პარამეტრი, ხოლო მომხმარებლის მიერ განცხადების გაკეთების შემდეგ მიაწოდოს მას ნიმუში კონკრეტული პირობების მითითებით.“ აღნიშნული ვალდებულება უმნიშვნელოვანესია, რამდენადაც მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა ყურადღებით საკრედიტო დაწესებულების ფარგლებს გარეთაც კი გაეცნოს ხელშეკრულების პირობებს და ყველა რისკის გააზრების შემდეგ გამოთქვას ინფორმირებული თანხმობა ხელშეკრულების დადებასთან მიმართებით, თუმცა სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ნიმუშის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებზე.

აღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი ხელშეკრულებაში (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცალმხრივი ცვლილების შესაძლებლობის გათვალისწინების შემთხვევაში, ფინანსურ ორგანიზაციას ავალდებულებს მომხმარებელს შესთავაზოს მისთვის ხელმისაწვდომი და მისაღები საკომუნიკაციო არხი. შეტყობინების ვალდებულების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მაშინ თუ ხელშეკრულების პირობის ცვლილება ხორციელდება მომხმარებლის სასარგებლოდ,¹⁴⁶ რაც გამომდინარეობს მომხმარებლის ინტერესებიდან.

N151/04 ბრძანების მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის მიერ ფინანსურ ორგანიზაციაში თანხის შეტანის დღე ემთხვევა უქმე დღეს, ფინანსურმა ორგანიზაციამ მომხმარებლისგან შენატანი უნდა მიიღოს მომდევნო სამუშაო დღეს ყოველგვარი დამატებითი საკომისიოსა თუ პირგასამტეხლოს დარიცხვის გარეშე“.

მითითებული ბრძანების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე „ხელშეკრულებაში ინფორმაცია გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული და მოცემული ადვილად წასაკითხი და აღქმადი ფონტის ზომით, ამასთან ფონტის ზომა არ

¹⁴⁵ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტი.

¹⁴⁶ იქვე, მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი.

უნდა იყოს 10-ზე ნაკლები“. პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში საფინანსო დაწესებულებები არღვევენ აღნიშნულ ვალდებულებას და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას იმდენად მცირე ფონტით ადგენენ, რომელიც ართულებს მისი აღქმის შესაძლებლობას და მომხმარებლის მიერ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებას.

კრედიტორის ვალდებულებები განხილული უნდა იქნეს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განმტკიცებულ კეთილსინდისიერების პრინციპთან ურთიერთკავშირში. როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, „კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმებთან ურთიერთკავშირში განიხილავს და იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა, სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაა იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.“¹⁴⁷

მაგალითისთვის: ხშირად საკრედიტო დაწესებულებები მომხმარებელთან ხელშეკრულების დადებისას სათანადო განმარტებების მიცემის გარეშე ხელშეკრულებაში განსაზღვრავენ დებულებას, რომელიც უფლებას ანიჭებს კრედიტორს გადახდის მორიგი ვადის დადგომისას მოახდინოს ვადამოსული დავალიანების დაფარვა კლიენტის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებიდან ავტომატურად, რაზეც მოვალე წინასწარ აცხადებს თანხმობას. მსგავსი რეგულირება ფინანსური ორგანიზაციის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველი შესაძლებელია გახდეს განსაკუთრებით კრედიტორის ხანდაზმული მოთხოვნის არსებობისას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ბანკის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის პირობებში სარჩელის შეტანამდე კრედიტორი იყენებს ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას და ავტომატურად აჭრის კლიენტს თანხას საბანკო ანგარიშიდან, რითიც ცდილობს „განაახლოს“ ხანდაზმულობის ვადის დენა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიზნებისთვის¹⁴⁸, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველებს, „სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით.“¹⁴⁹ „მოვალის ქმედებიდან, რომელიც კრედიტორის მიმართ არსებული დავალიანების შესრულებას ეხება, ნათლად და არაორაზროვნად უნდა დგინდებოდეს მოვალის მხრიდან ვალდებულების აღიარება და მოვალის მზაობა აღნიშნული

¹⁴⁷ *ჟანტურია ლ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 8, ველი 10. იხ. ციტირება: *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 83.

¹⁴⁸ *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით*, „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას“.

¹⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება საქმე Nას-384-358-2017.

ვალდებულების შესრულების თაობაზე,“ ამდენად, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „კრედიტორის მიერ თანხების უაქცეპტოდ ჩამოჭრა არ შეიძლებოდა ყოფილიყო განხილული „სხვაგვარ აღიარებად“, რომელიც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას გამოიწვევდა.“¹⁵⁰

5.1.3. ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებასთან მიმართებით ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები არ შემოიფარგლება მხოლოდ წინასახელშეკრულებო ეტაპით, არამედ კრედიტორს ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგაც ეკისრება არაერთი ვალდებულება.

N151/04 ბრძანების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი ფინანსურ ორგანიზაციას აკისრებს ვალდებულებას მოთხოვნის შემთხვევაში მომხმარებელს, დაუყოვნებლივ დამატებით რაიმე გადასახადის გადახდის გარეშე, მიაწოდოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: „1. კრედიტის ნაშთი, 2. კრედიტის შემდგომი შენატანის ვადა და ოდენობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო, 3. საშეღავათო ან სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია მათ შესახებ და ამ პირობის გამოყენებისათვის არსებული ვადები და საჭირო შენატანები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამო.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსხვავებული ინფორმაციის მინიმალური სტანდარტია დაწესებული ოვერდრაფტისა და საბანკო ბარათის შემთხვევაში. ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს შესთავაზოს ანგარიშიდან ყოველთვიური ამონაწერის გაცემის სერვისი წერილობითი ან ელექტრონული ფორმით დამატებითი გადასახადების გარეშე.¹⁵¹ მნიშვნელოვანია, რომ მითითებული ბრძანება ფინანსურ ორგანიზაციას, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, მათ შორის, ხელშეკრულების ასლის გადაცემასთან მიმართებით აკისრებს იმ შემთხვევაშიც თუ ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან/შეწყვეტიდან არ გასულა 2 წელი.¹⁵²

მნიშვნელოვანია მითითებული ბრძანების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ნორმა, რომლის მიხედვითაც, „მომხმარებლის მიერ კრედიტის ვადაგადაცილებისა და

¹⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება საქმე Nას-384-358-2017.

¹⁵¹ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵² იქვე, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.

სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/დროებით შეჩერების (მაგალითად საკრედიტო ლიმიტის შეჩერება) შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია გამოიყენოს მომხმარებლის მიერ მისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაცია და აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს, ასევე თანამსესხებელს და/ან თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს ზემოაღნიშნული გარემოების დადგომისას დაუყოვნებლივ, ფინანსური ორგანიზაციის ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა. ფინანსური ორგანიზაცია არ აგებს პასუხს ვალდებულების დარღვევისათვის, თუ დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ფინანსური ორგანიზაციისთვის.“ მითითებული რეგულირება ცხადყოფს ხელშეკრულებაში სწორი საკონტაქტო მონაცემების მითითების მნიშვნელობას, რაც პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემატურია. ხშირ შემთხვევაში მომხმარებელი იცვლის მისამართს ისე, რომ არ ატყობინებს კრედიტორს და კრედიტის გამცემიც მასთან საკომუნიკაციოდ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მისამართს იყენებს. ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შეინახოს კორესპონდენციის ჩაბარების დასტური და მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მომხმარებელს.¹⁵³

აღნიშნული ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს იმპერატიულ დანაწესს იმასთან დაკავშირებით, რომ თუ „ხელშეკრულება არ შეიცავს ამ წესით გათვალისწინებულ ინფორმაციას და/ან ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მომხმარებლისთვის არ ხორციელდება ინფორმაციის ამ წესის მიხედვით მიწოდება, ეს არ შეიძლება გახდეს აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.“ მართალია, ინფორმაციის მიუწოდებლობა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, თუმცა მან შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტული პირობების ბათილად ცნობა, რაზეც დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში განსაკუთრებით აქტუალურია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა გააკეთოს მაქსიმალური იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პერსონალური მონაცემების ქურდობის რისკი, ასევე ტექნიკური საშუალებებით არაავტორიზებული წვდომა.¹⁵⁴ პერსონალური მონაცემების დაცვას საბანკო კრედიტის არსებობის პირობებში უკავშირდება საკითხი, როდესაც

¹⁵³ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი.

¹⁵⁴ *Rutledge S.L.*, Consumer Protection and Financial Literacy, Lessons from Nine Country Studies, The World Bank, Europe and Central Asia Region, Finance and Private Sector Department, 2010, 22.

დავალიანების არსებობისას კრედიტორი აკეთებს ყველაფერს, რათა მოვალეს „აიძულოს“ ვალდებულების შესრულება, მათ შორის, უკავშირდება მოვალის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეზობლებსაც კი და ატყობინებს მოვალის დავალიანების შესახებ, რითაც უხეშად ირღვევა მომხმარებლის პერსონალური მონაცემები.

5.1.4. კრედიტის წინსწრებით დაფარვა (Early Repayment)

N151/04 ბრძანების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი არეგულირებს კრედიტის წინსწრებით დაფარვისა და ამორტიზაციის წესს, კერძოდ, წინსწრებით დაფარვის საკომისიო განისაზღვრება შემდეგნაირად: „ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა; გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა.“¹⁵⁵ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს ჯარიმის მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც ამცირებს კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას და მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით ქმნის გარანტიებს.

ბრძანების დანაწესი ასევე გამორიცხავს კრედიტორის მიერ პირგასამტეხლოს/საკომისიოს მოთხოვნის შესაძლებლობას თუ: „ა) ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი; ბ) კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება იმავე ფინანსური ორგანიზაციის მიერ გაცემული ახალი კრედიტით; გ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ფინანსური ორგანიზაციის მოთხოვნით; დ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მომხმარებლის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით.“¹⁵⁶

N151/04 ბრძანება განსაზღვრავს კრედიტის წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვის სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ, „კრედიტის წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ფინანსური

¹⁵⁵ შდრ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის მე-16 მუხლი.

¹⁵⁶ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

ორგანიზაცია ვალდებულია მას შესთავაზოს ახალი გრაფიკის მინიმუმ შემდეგი ალტერნატივები: ა) ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით; ბ) ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება.¹⁵⁷

5.1.5. მომხმარებლის პრეტენზიების აღრიცხვა და განხილვა

ყველა ფინანსურ დაწესებულებას მოეთხოვება ჰქონდეს სულ მცირე ერთი განყოფილება ან ჰყავდეს ოფიცერი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი მომხმარებლის პრეტენზიების მიღებასა და განხილვაზე, რის თაობაზეც მოვალეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს წერილობით შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევამდე.¹⁵⁸ ცხრა ქვეყანაში (ბულგარეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, აზერბაიჯანი, ხორვატია, რუსეთი) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ სამს ჰყავდა მედიატორი, მომრიგებელი კომიტეტი, საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც ცდილობს დაეხმაროს ხელშეკრულების მხარეებს შეთანხმების მიღწევაში.¹⁵⁹

საქართველოში ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას საფინანსო სექტორის მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობასთან ერთად მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს.¹⁶⁰ სწორედ ეროვნული ბანკია უფლებამოსილი ორგანო, რომელიც ახორციელებს საფინანსო სექტორზე ზედამხედველობას.¹⁶¹

N151/04 ბრძანების მე-10 მუხლი ფინანსურ ორგანიზაციებს მნიშვნელოვან ვალდებულებებს აკისრებს, მათ შორის, მომხმარებლებში სანდო რეპუტაციის მქონე პარტნიორის რეპუტაციის გამყარების მიზნით ზნეობის, საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმების, კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „დაუშვებელია მომხმარებლებთან ურთიერთობისას, მათ შორის, მომხმარებლების მხრიდან ფინანსური ორგანიზაციის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას მომხმარებლის პირდაპირი და/ან ირიბი გზით იძულების მიზნით არასწორი ინფორმაციის მიწოდება და შეცდომაში შეყვანა, მომხმარებლის რეპუტაციის შემლახავი ქმედებების განხორციელება, მათ შორის მესამე

¹⁵⁷ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁵⁸ *Rutledge S.L., Consumer Protection and Financial Literacy, Lessons from Nine Country Studies, The World Bank, Europe and Central Asia Region, Finance and Private Sector Department, 2010, 26.*

¹⁵⁹ იქვე, 28.

¹⁶⁰ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლი.

¹⁶¹ იქვე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების გამოყენებისას.“

ფინანსურ ორგანიზაციას სესხის ამოღების მიზნით ეკისრება ეთიკის კოდექსის მიღების ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ქცევის წესს კრედიტორებისთვის და მისი დაცვის ვალდებულება ძალაში რჩება ფინანსური ორგანიზაციის მოთხოვნის მესამე პირებისთვის გადაცემის შემთხვევაში¹⁶².

N151/04 ბრძანება არეგულირებს მომხმარებლების პრეტენზიების მიღებისა და განხილვის დეტალურ პროცედურას, კერძოდ, ფინანსურ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს პრეტენზიების წერილობით და ელექტრონულად მიღების პროცედურა, რომელშიც მომხმარებელი შეძლებს დააფიქსიროს უკმაყოფილება, დაუთანხმებლობა თუ საჩივარი.¹⁶³ ბრძანება ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებას მათ შორის, პრეტენზიის მიღების განმცხადებლისთვის დადასტურების, მომხმარებლის მხრიდან მიმართვისა ან/და მომხმარებლის იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში მომხმარებლისთვის პრეტენზიის განხილვის შედეგების შეტყობინების, პრეტენზიების ჩანაწერების არსებობის, პრეტენზიებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების წარმოების, ეროვნული ბანკისთვის ელექტრონული ფორმით მიწოდებასთან მიმართებით და სხვ.¹⁶⁴

N151/04 ბრძანება ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებას ეროვნული ბანკისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.¹⁶⁵ სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკია ის უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია ფინანსურ ორგანიზაციას დააკისროს სანქცია ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.¹⁶⁶

5.2. დაცვის მექანიზმები სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში

საქართველოს გარდა კრედიტი სხვა ქვეყნებშიც არაერთ პრობლემას წარმოშობს მომხმარებლებისთვის. მაგალითად, სლოვაკეთში კვლევამ გამოავლინა, რომ მომხმარებლები კრედიტს ძირითადად არალიცენზირებული დაწესებულებებისგან იღებდნენ მაღალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით მაშინ, როდესაც ბანკისგან მათ

¹⁶² „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი.

¹⁶³ ივე, მე-11 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

¹⁶⁴ ივე, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶⁵ ივე, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁶⁶ ივე, მე-13 მუხლი.

კრედიტის მიღება ნაკლები პროცენტით შეეძლოთ; ჩეხეთის რესპუბლიკაში კრედიტის წინასწარი დაფარვისას მომხმარებლებს უწევდათ გადაეხადათ წინასწარი დაფარვის საკომისიო, რომელიც უდრიდა კრედიტის მთელ მოცულობას; ლატვიაში მომხმარებლებს ხარჯების შემცირების მიზნით მიეთითათ, რომ დაეხურათ ძველი ანგარიშები და გაეხსნათ ახალი, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ მომხმარებლები თანხმობა გამოთქვეს ხელშეკრულების ახალ პირობებზე, რითაც შემცირდა კრედიტის დაბრუნების პერიოდი; ხორვატიაში ბანკების მიმართ არსებული ძირითადი პრეტენზია უკავშირდებოდა იმას, რომ მომხმარებლებმა არ იცოდნენ რაზე ჰქონდათ ხელი მოწერილი; ბულგარეთში ფინანსური ორგანიზაციები არ აძლევდნენ მომხმარებელს განმარტებებს საფინანსო პროდუქტის შესახებ; რუმინეთში მომხმარებელთან დადებული იპოთეკის ხელშეკრულებები იბეჭდებოდა 6-იანი ფონტით, რაც შეუძლებელს ხდიდა მომხმარებლის მიერ მის წაკითხვას.¹⁶⁷

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომხმარებლის რისკები შესაძლებელია დამოკიდებული იყოს რამდენიმე ფაქტორზე: 1. კრედიტორის ვინაობა - დიდ ფინანსურ კომპანიებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის შემთხვევაში ნაკლებია მოვალის რისკი, 2. კრედიტორის მომგებიანობა - რაც მეტია კრედიტორის მოგება ნაკლებია მსესხებლის რისკი, 3. კრედიტორის ბერკეტები, 4. კრედიტორის აქტივების ღირებულება, 5. კრედიტორის მზარდი შესაძლებლობები, პოტენციალი.¹⁶⁸

მომხმარებლის უფლებების დაცვა ფართო გაგებით, მოიცავს კანონებსა და რეგულაციებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი სერვისის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის.¹⁶⁹ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საბანკო სფეროში მოქმედი რეგულაციები უკავშირდება როგორც სამართალს, ასევე ეკონომიკას და აღნიშნული სფერო ყოველდღიურად უფრო ვითარდება, არაერთგვაროვანია სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი რეგულაციებიც.¹⁷⁰

მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავა ყოვლისმომცველი კანონმდებლობა საბანკო კრედიტთან მიმართებით ჯერ კიდევ 1974 წელს „სამომხმარებლო კრედიტის აქტით“(CCA)¹⁷¹. მას შემდეგ აღნიშნული აქტი შესაბამისობაში მოვიდა თანამედროვეობასთან სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებებით.¹⁷² 2006 წელს განხორციელდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის საფუძველზეც

¹⁶⁷ *Rutledge S.L.*, Consumer Protection and Financial Literacy, Lessons from Nine Country Studies, The World Bank, Europe and Central Asia Region, Finance and Private Sector Department, 2010, 9.

¹⁶⁸ *Bae K.H., Goyal V.K.*, Creditor Rights, Enforcement, and Bank Loans, The Journal of Finance, April, 2009, 830.

¹⁶⁹ *Ardic O.P., Ibrahim J.A., Mylenko N.*, Consumer Protection Laws and Regulations in Deposit and Loan Services, A Cross-Country Analysis With a New Data Set, The World Bank, 2011, 2.

¹⁷⁰ იქვე, 2 და შემდგომში.

¹⁷¹ იხ: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1974/39/contents>.

¹⁷² *Alleweldt F., Micklitz W-H., Rott P., and others*, Broad Economic Analysis of the Impact of the Proposed Directive on Consumer Credit, Study, Brussels, 2007, 70.

სალიცენზიო და სააღსრულებო უფლებამოსილებები მიენიჭა სამართლიანი ვაჭრობის ოფისს (OFT), ასევე გაფართოვდა ფინანსური ომბუდსმენის იურისდიქცია.¹⁷³ სამომხმარებლო კრედიტის აქტით კრედიტორებს ეკისრებათ ვალდებულება მიაწოდონ მომხმარებელს ინფორმაცია წინასახელშეკრულებო ეტაპზე¹⁷⁴. მისაწოდებელი ინფორმაციის ხასიათი განსხვავდება იმის მიხედვით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება იდება პირდაპირი კომუნიკაციით (face-to-face) თუ დისტანციურად (distance).¹⁷⁵ პირდაპირი კომუნიკაციისას მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ხელშეკრულების შინაარსი ცალკე დოკუმენტით თავად საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხოლო თუ კომუნიკაცია ხორციელდება დისტანციურად მომხმარებელს მხოლოდ კონკრეტული ინფორმაცია მიეწოდება და საჭირო არ არის დამოუკიდებელი დოკუმენტის მომზადება.¹⁷⁶ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა არ შეიცავს მოთხოვნებს „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების“ პრინციპთან (Responsible Lending)¹⁷⁷ და რჩევის მიცემის მოვალეობასთან (Duty to Assist) დაკავშირებით.¹⁷⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხეთში საბანკო მომსახურების სფეროს ჰარმონიზაციის პროცესი იყო ყველაზე ნელი და დარჩა იმ მინიმალურ დონეზე, რომელსაც დირექტივა მოითხოვდა.¹⁷⁹ N321/2001 აქტი არეგულირებს ხელშეკრულებებს 2002 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო N145/2010 სამომხმარებლო კრედიტის აქტი ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომელიც დადებულია 2011 წლის 1 იანვრიდან.¹⁸⁰ სწორედ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008/48/EC აქტის იმპლემენტაციას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რეგულაციების უნიფიკაცია და მომხმარებლის უფლებების დაცვის გაძლიერება.¹⁸¹ სამომხმარებლო კრედიტის შესახებ N145/2010 აქტთან შესაბამისობაზე კონტროლს ახორციელებს ჩეხეთის სავაჭრო ინსპექცია (CTIA), ასევე მომხმარებელთა დაცვის დეპარტამენტი.¹⁸² ამას გარდა, ჩეხეთში მოქმედებს არაერთი აქტი, რომელიც შეეხება მომხმარებელთა დაცვას საბანკო კრედიტის სფეროში,

¹⁷³ *Alleweldt F., Micklitz W-H., Rott P., and others*, Broad Economic Analysis of the Impact of the Proposed Directive on Consumer Credit, Study, Brussels, 2007, 70.

¹⁷⁴ *Consumer Credit Act*, Part V Entry into Credit or Hire Agreements.

¹⁷⁵ *Alleweldt F., Micklitz W-H., Rott P., and others*, Broad Economic Analysis of the Impact of the Proposed Directive on Consumer Credit, Study, Brussels, 2007, 71.

¹⁷⁶ *იქვე*, 71.

¹⁷⁷ შდრ. „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების მე-3 მუხლი.

¹⁷⁸ *Alleweldt F., Micklitz W-H., Rott P., and others*, Broad Economic Analysis of the Impact of the Proposed Directive on Consumer Credit, Study, Brussels, 2007, 71.

¹⁷⁹ *იქვე*, 108.

¹⁸⁰ *Teply P.*, Consumer Lending In Theory And Practice, Charles University, Prague, 2015, 52.

¹⁸¹ *იქვე*, 52.

¹⁸² *იქვე*, 52.

მათ შორის, ფინანსთა მინისტრის დადგენილება N47/1964, მთავრობის N142/1994 ბრძანება და სხვ.¹⁸³

გერმანულმა საკრედიტო ხელშეკრულებო სამართალმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბოლო წლების განმავლობაში, მათ შორის, 1990 წელს სამომხმარებლო კრედიტის აქტით, თუმცა ეს უკანასკნელი არ ითვალისწინებდა მნიშვნელოვანი ნორმებს, მაგალითად, გადაჭარბებულ საპროცენტო განაკვეთთან მიმართებით, რჩევის მიცემის შესახებ კრედიტორის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, რის გამოც სასამართლოს წინაშე დგებოდა განმარტების საკითხი.¹⁸⁴ სწორედ არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით 12 წლის შემდეგ სამომხმარებლო კრედიტის სამართალი გადატანილი იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, 491-ე პარაგრაფში.¹⁸⁵ აღსანიშნავია, რომ 491-ე პარაგრაფი და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემდეგი ნორმები მოქმედებს „მხოლოდ მეწარმესა და მომხმარებელს ან მეწარმესა და დამწყებ მეწარმეს შორის დადებული ხელშეკრულებების მიმართ.“¹⁸⁶ მითითებული ნორმები ახდენს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის იმპლემენტაციას, რომლის მიზანია „სუსტი“ მომხმარებლის დაცვა საბანკო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკებისგან, მათ შორის, გარიგების დაჩქარებული წესით დადებისაგან.¹⁸⁷

მისასაღმებელია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 491ა პარაგრაფის მე-2 ნაწილის დათქმა, რომელიც გამსესხებელს ავალდებულებს მსესხებელს გადასცეს ხელშეკრულების პროექტი. ნათელია, რომ აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებების სათანადოდ დაცვას, რამდენადაც მომხმარებელს საშუალება ეძლევა ფინანსური ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ მშვიდ ვითარებაში გააანალიზოს ხელშეკრულების შინაარსი, განსაჯოს შესაბამისი რისკები და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დადებასთან მიმართებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადებამდე გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტება, რათა მსესხებელმა შეძლოს იმის განსჯა, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება მის დასახულ მიზანს და რამდენად მართებულია მისი გაფორმება მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ასეთი მოცემულობის შემთხვევაში, მომხმარებელს, ამ ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად,

¹⁸³ *Teply P.*, Consumer Lending In Theory And Practice, Charles University, Prague, 2015, 52-53.

¹⁸⁴ *Alleweldt F., Micklitz W-H., Rott P., and others*, Broad Economic Analysis of the Impact of the Proposed Directive on Consumer Credit, Study, Brussels 2007, 90.

¹⁸⁵ *იქვე*, 90.

¹⁸⁶ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 369.

¹⁸⁷ *იქვე*, 369.

უნდა მიეწოდოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციები,¹⁸⁸ განემარტოს გამსესხებლის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების ძირითადი ასპექტები, ასევე, მათი ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი შედეგები მსესხებლისთვის, გადახდის ვადის გადაცილების შედეგების ჩათვლით.¹⁸⁹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 492-ე პარაგრაფი ითვალისწინებს სავალდებულო წერილობით ფორმას სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებისა და ხელშეკრულების დადების შემდგომ მხარეთა შორის შეტყობინებების განხორციელებისათვის, რაც ემსახურება ხელშეკრულებიდან გამომდინარე რისკების მსესხებლისთვის გამჟღავნების აუცილებლობას.¹⁹⁰ ფორმის დაუცველობა ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველია, მაგრამ „სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება ნამდვილია, თუ მსესხებელი იღებს სესხს ან წარადგენს მასზე მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი მცირდება კანონისმიერ საპროცენტო განაკვეთამდე.“¹⁹¹

გერმანულ კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დასაცავად ასევე გათვალისწინებულია შემდეგი მექანიზმები: „ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებები (§ 495), მომხმარებლის მიერ შესაგებლის წარდგენის უფლების გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობა, ასევე, თამასუქისა და ჩეკის აკრძალვა (§ 496), გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტების დათვლის ხელსაყრელი წესი (§ 497), ხელშეკრულებაზე უარის თქმის დებულებები (§§ 498, 499, 500) და სხვ.“¹⁹²

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს მაგალითად, საფრანგეთში ამოქმედდა მომხმარებელთა კოდექსი, რომელიც მიღებულია 2010 წელს, ასევე ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, რომელიც არაა მომხმარებელთა კოდექსის ნაწილი, თუმცა ითვალისწინებს მნიშვნელოვან დებულებებს მომხმარებელთა ინფორმირებასთან დაკავშირებით.¹⁹³

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48 დირექტივა (DIRECTIVE 2008/48/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 April 2008), რომლის სავალდებულო იმპლემენტაციასაც ითვალისწინებს

¹⁸⁸ იხ. „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3 და შემდგომი მუხლები.

¹⁸⁹ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 372.

¹⁹⁰ იქვე, 373.

¹⁹¹ იქვე, 374.

¹⁹² იქვე 369.

¹⁹³ Ardıc O.P., Ibrahim J.A., Mylenko N., Consumer Protection Laws and Regulations in Deposit and Loan Services, A Cross-Country Analysis With a New Data Set, The World Bank 2011, 32 და შემდგომი გვერდები.

საქართველოსთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება.¹⁹⁴ ასოცირების შეთანხმება შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოსთვის და მისი პრეამბულიდანვე ცხადი ხდება საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვების მიზანი.¹⁹⁵ გასათვალისწინებელია, რომ დირექტივა ვრცელდება მხოლოდ სამომხმარებლო კრედიტზე და მისი მოქმედების არეალი არ მოიცავს ისეთ გარიგებებს, რომლებიც მიმართულია უძრავი ქონების შესაძენად ან უზრუნველყოფილია საგარანტიო ქონებით.¹⁹⁶

VI. სასამართლოს მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1. სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში

6.1.1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი განსაზღვრავს სტანდარტული პირობების ცნებას. ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკა სტანდარტული პირობების ნიშნებს გამოყოფს, კერძოდ, „ხელშეკრულების პირობების სტანდარტულ პირობებად მიჩნევის სავალდებულო ნიშნებია: 1. სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები; 2. სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები; 3. სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები; 4. სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს; 5. სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ამ მათი შემვსები წესების დადგენა.“¹⁹⁷

¹⁹⁴ ასოცირების შეთანხმების ელ. ვერსია იხ. <http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A%1%83%98%E1%83%90/AssociationAgreement.aspx>

¹⁹⁵ *სამხარაძე ი.*, სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, სამართლის ჟურნალი N1, 2015, თბილისი, 2016, 325.

¹⁹⁶ Directive 2008/48/EEC, Article 2.

¹⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 მაისის განჩინება საქმე Nას-237-2019.

სტანდარტული პირობები გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისთვის კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობისას.¹⁹⁸ თანამედროვეობაში სტანდარტული პირობების მნიშვნელობა ძალზედ დიდია, მეტიც ხელშეკრულებათა 99% სტანდარტული პირობების საფუძველზე იდება.¹⁹⁹ სტანდარტული პირობები უადვილებს ოფერენტს კლიენტთან მოლაპარაკებას, რამდენადაც მსგავსი პირობების გათვალისწინებით კრედიტორი თავიდან იცილებს ხელშეკრულების თითოეული პირობის მოვალესთან შეთანხმებას, რაც თავის მხრივ, ამცირებს წინასახელშეკრულებო ეტაპის ხანგრძლივობას.²⁰⁰ სტანდარტული პირობების გათვალისწინების გზით კონტრაქტის ინტერესების უგულვებელყოფით იუმჯობესებს საკუთარ პოზიციებს.²⁰¹ ხელშეკრულების პირობები, რომელიც მხარეთა შორის ინდივიდუალურად და დეტალურად არის შეთანხმებული არ მიიჩნევა სტანდარტულ პირობად.²⁰² ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც სტანდარტულ პირობებს უკავშირდება არის ის, რომ კონტრაქტი ნაკლებად ეცნობა მათ და ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ისეთ პირობებზე, რომლის შესახებაც კრედიტორი ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას, მათ შორის, ძირითადია ხელშეკრულების ფასი.²⁰³

სსკ-ის 345-ე მუხლი ადგენს იმპერატიულ დანაწესს და განსაზღვრავს, რომ „თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.“ მოცემული დანაწესის მიზანია თავიდან აიცილოს ხელშეკრულებაში ბუნდოვანი სტანდარტული პირობების გათვალისწინება, ბუნდოვანების შესაფასებლად კი მხედველობაში მიიღება საშუალო სტატისტიკური მომხმარებლის თვალსაწიერი.²⁰⁴ დათქმის მიზანს წარმოადგენს მხარეთა დავალდებულება, რომ მათ პირობა ჩამოაყალიბონ არაორაზროვნად, იმისათვის, რომ მისი განმარტება არ მოხდეს ხელშეკრულების შემთავაზებლის საწინააღმდეგოდ.²⁰⁵

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მხარეთა მორიგება, როდესაც დავა მხარეთა შეთანხმებით კომპრომისის, დათმობის საფუძველზე გვარდება.²⁰⁶ მხარეთა შორის მორიგების მიღწევა სასამართლოში

¹⁹⁸ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 1.

¹⁹⁹ *კაკოიშვილი დ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, 68. იხ. ციტირება: Barnes, Toward a Fairer Model of Consumer Assent to Standard Form Contracts: In Defense of Restatement Subsection 211(3), 233.

²⁰⁰ *კაკოიშვილი დ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, 68.

²⁰¹ *ხუნაშვილი ნ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, სამართლის ჟურნალი N1, 2013, თბილისი, 2014, 273.

²⁰² *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი.*

²⁰³ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342, ველი 6.

²⁰⁴ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 345, ველი 1.

²⁰⁵ *კაკოიშვილი დ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, 80.

²⁰⁶ *მამიაშვილი თ.*, მორიგება როგორც სამოქალაქო საქმისწარმოების დამთავრების საფუძველი, სამართლის ჟურნალი N1, 2013, თბილისი, 2014, 84.

მიმდინარე პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელი,²⁰⁷ რაც შედეგად იწვევს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტას.²⁰⁸

6.1.2. სტანდარტული პირობები საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტანდარტული პირობებით ხელშეკრულების დადება დაკავშირებულია მნიშვნელოვან საფრთხეებთან იმ პირებისათვის, რომელიც არ წარმოადგენენ ოფერენტებს, რის გამოც კანონმდებლობა ადგენს იმპერატიულ დანაწესებს, რომლის დაუცველობაც სტანდარტული პირობის ბათილობის სამართლებრივი საფუძველია.²⁰⁹

სტანდარტული პირობების ბათილობის საკითხი რეგულირდება სსკ-ის 347-348-ე მუხლებით. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბათილობის დამდგენი ნორმები ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რის გამოც ისინი დაკონკრეტებას მოითხოვენ.²¹⁰

გერმანიაში სტანდარტულ პირობებს არეგულირებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 305-310 პარაგრაფები, მათ შორის, გათვალისწინებულია ნორმა, რომელიც მეორე მხარის უფლებებისა და ინტერესების არაკეთილსინდისიერად შემლახავი პირობის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველია.²¹¹

სასამართლოს მიერ სტანდარტული პირობების ნამდვილობის კონტროლის, ხელშეკრულების განმარტების საკითხი დგება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ბუნდოვან დებულებებს შეიცავს, არამედ მაშინაც თუ ტექსტი მხარეთა ურთიერთთანხმებულ ნებას არ შეესაბამება.²¹²

²⁰⁷ *მამიაშვილი თ.*, საბანკო კრედიტის (სესხის) ხელშეკრულება და სასამართლოსმიერი მორიგება საკრედიტო ვალდებულების დარღვევისას, სამართლის ჟურნალი N2, 2014, თბილისი, 2015, 103.

²⁰⁸ *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.*

²⁰⁹ *კაკოიშვილი დ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, 69.

²¹⁰ *ზაალიშვილი ვ.*, სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები - შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1, 2017, თბილისი, 2017, 55.

²¹¹ *კაკოიშვილი დ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, 71. იხ. ციტირება: Basil S. Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, *The German Law of Contract A Comparative Treatise*, (oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 2006) 170.

²¹² *ბაჩიაშვილი ვ.*, ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, სამართლის ჟურნალი N1, 2013, თბილისი, 2014, 6.

6.1.2.1. სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან მიმართებით უშვებს სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობას თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებით.

ფინანსური ორგანიზაციის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში. დღეის მდგომარეობით თითქმის ყველა ფინანსური ორგანიზაცია ითვალისწინებს ხელშეკრულებაში მითითებულ პირობას ისე, რომ არ აძლევს მომხმარებელს განმარტებას შესაძლო შედეგებისა და რისკების თაობაზე, რაც დაუშვებელია. ინფორმაციის მიუწოდებლობის პირობებში მომხმარებელი გამოხატავს გაუცნობიერებელ თანხმობას მაშინ, როდესაც კრედიტორის მხრიდან სათანადო განმარტების მიღების შემთხვევაში მსესხებელი შესაძლოა არც კი დათანხმებოდა ხელშეკრულებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის პირობის გათვალისწინებას.²¹³

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს სამი ინსტანციის სასამართლო,²¹⁴ რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში²¹⁵, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს უზენაეს სასამართლოში²¹⁶. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ პრინციპთან, თუმცა რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ კანონიერ ძალაში შესვლას.²¹⁷ მართალია, ასეთ პირობებშიც ფორმალურად შესაძლებელია სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება,²¹⁸ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განჩინება კი საჩივრდება კერძო

²¹³ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

²¹⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

²¹⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი.

²¹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

²¹⁷ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 473.

²¹⁸ იქვე, 474.

საჩივრით, რომელიც არ აჩერებს განჩინების აღსრულებას.²¹⁹ ცალსახაა, რომ იწყება იძულებითი აღსრულების პროცედურები და იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე კერძო საჩივრის განხილვა მოითხოვს ხანგრძლივ ვადას, აზრი ეკარგება მის განხილვას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში განხილვის დასრულებამდე ფინანსური ორგანიზაციის მოთხოვნა აღსრულებულია ან დანიშნულია იძულებითი საჯარო აუქციონი.²²⁰ ასეთ პირობებში მოვალეს რჩება მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა.²²¹

სასამართლო პრაქტიკა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან მიმართებით არაერთგვაროვანია. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა შეაფასოს ინდივიდუალურად მომხმარებლის უფლებების უპირატესი გათვალისწინებითა და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში²²² თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოდ მეორე მხარისათვის საზიანო ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილად ცნობას. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ფინანსურ ორგანიზაციას სადავოდ არ ჰქონდა გამხდარი ხელშეკრულების ტექსტის მის მიერ წინასწარ შემუშავების ფაქტი, რომელიც ითვალისწინებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ პირობას და რომელიც მსესხებელთან ინდივიდუალურად არ შეუთანხმებია. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ სათანადო შეფასება მისცა მხარეთა არათანაბარ პოზიციებს, მომხმარებლის „სუსტ“ მდგომარეობას და მიუთითა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც „ინფორმირების და განმარტების ვალდებულება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი წარმოადგენს წინა სახელშეკრულებო მოვლენას, სავალდებულოდ უნდა შესრულდეს საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ამასთან, ინფორმირების და განმარტების ვალდებულება არ გულისხმობს სპეციალური დოკუმენტით მისი მიწოდების აუცილებლობას, არამედ შესაძლებელია ზეპირსიტყვიერი გასაუბრების პირობებშიც (court of justice of the european union 18 december 2014. judgment in case C-449/13.CA Consumer Finance SA V Ingrid Bakkaus and

²¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლი.

²²⁰ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

²²¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 473.

²²² თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.

Others).“ სასამართლოს მითითებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის წესი წარმოადგენდა „სტანდარტულ პირობას. მათი შინაარსი საჭიროებდა მსესხებლისთვის სავალდებულო განმარტებას. ამასთან, მათი მნიშვნელობა არსებითია და ინფორმაციული დეფიციტის პირობებში გამოირიცხებოდა მსესხებლის გაცნობიერებული არჩევანის შესაძლებლობა რისკების ეფექტური მართვის კრილში.“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მსესხებლის პიროვნული აღქმადობის დონეზე, მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი კი ფინანსურ ორგანიზაციას დააკისრა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებაზე, „სადაც აღნიშნულია: „...მეწარმე პირი ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი დამოუკიდებლად მოიძიებენ ამ ინფორმაციას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების კუთხით...“ (court of justice of the european union 5 jule 2012. judgment in case C-49/11. Content services Ltd v Bundesarbeitskammer).“ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაასკვნა, რომ „შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის იყო აშკარა შეუსაბამობა და სარგებლის მიმღები ფინანსური ორგანიზაცია როგორც სტანდარტული პირობის შემთავაზებელი მხარე მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, რაც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებით ხელშეკრულების პირობის ბათილად ცნობის საფუძველია.“ მოცემული გადაწყვეტილება ნამდვილად მისასალმებელია, ასახავს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას და ორიენტირებულია მომხმარებლის უფლებების დაცვაზე.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში²²³ თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიუთითა, რომ „გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, თავისი შინაარსით, ემსახურება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული მოთხოვნის დაცვას აღუსრულებლობისაგან, რათა სააპელაციო ან საკასაციო საჩივრით მოპასუხე მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, არ მოხდეს გადაწყვეტილების აღუსრულებელ გადაწყვეტილებად ქცევა, რითაც ფაქტიურად აზრი დაეკარგება მოსარჩელის უფლებების სასამართლო გზით დაცვას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ რამ განაპირობა მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, რამაც შემდგომში შესაძლოა გააძნელოს მისი აღსრულება.“

²²³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმე Nას-108-108-2018.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში²²⁴ ფორმალურად განმარტა, რომ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე, რის გამოც ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებული იყო. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სრულად უგულებელყო მომხმარებელთა დაცვის სტანდარტები, დაეყრდნო ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის ფაქტს და შეფასების გარეშე დატოვა ის თუ რამდენად აცნობიერებდა მომხმარებელი ხელშეკრულების შინაარსს, რამდენად იყო გამოვლენილი მისი ნამდვილი ნება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევასთან მიმართებით. მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანხმებასა და კანონის მსგავს ფორმალურ განმარტებას ეყრდნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.²²⁵

მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებით დამკვიდრდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე მიდგომები მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში, მათ შორის, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებები.

6.1.2.2. აღსრულების მიქცევა მოვალის საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე კრედიტის დაბრუნების ვალდებულების იპოთეკით უზრუნველყოფის პირობებში

სსკ-ის 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის მიხედვით განმტკიცებულია ზოგადი დანაწესი, რომლის საფუძველზეც, „მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

ზემოაღნიშნული ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა, რამდენადაც უშვებს მხარეთა შორის ნორმით განმტკიცებული დანაწესისაგან განსხვავებული შეთანხმების

²²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N2/16778-17.

²²⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე N2/10139-15.

შესაძლებლობას.²²⁶ ხშირ შემთხვევაში მხარეები ვალდებულების უზრუნველსაყოფად იყენებენ უზრუნველყოფის საგანს, რომლის ღირებულებაც ბევრად აღემატება უზრუნველყოფილ მოთხოვნას, თუმცა ასეთი ხელშეკრულება „გამყვლეფ“ გარიგებადაც კი შეიძლება იქნეს მიჩნეული სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით.²²⁷ პრაქტიკაში ფინანსური ორგანიზაციების უმრავლესობა იყენებს კანონით მინიჭებულ შესაძლებლობას და მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრავენ ნორმას, რომლის მიხედვითაც იმ პირობებში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ აღმოჩნდება, კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღსრულება განხორციელდება მოვალის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავ-მოდრავი ქონებიდან. სსკ-ის 870-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შესაძლებლობას აძლევს კრედიტის გამცემს მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება. სათანადო განმარტების მიუღებლობისას, როდესაც მომხმარებელთან დროის მცირე შუალედში, კრედიტის მიღების მიზნით, ფორმდება სხვადასხვა შინაარსის რამდენიმე ხელშეკრულება²²⁸ და მომხმარებელს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა, ნათელია, რომ ხშირ შემთხვევაში მოვალე ვერ აცნობიერებს იმ რისკებს, რომელსაც აღნიშნული პირობა მას უქადის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს მითითებულ პირობასთან მიმართებით მოვალის თავისუფალი ნების არსებობას. ამდენად, ცალსახაა, რომ პირობის ნამდვილობა უნდა შემოწმდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მის მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში²²⁹ განმარტა, რომ სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის პირობა „მისი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოადგენს სტანდარტულ პირობას. შესაბამისად, მისი შინაარსი საჭიროებდა მსესხებლისთვის სავალდებულო განმარტებას. ამასთან, მისი მნიშვნელობა არსებითია და ინფორმაციული დეფიციტის პირობებში გამოირიცხებოდა მსესხებლის გაცნობიერებული არჩევანის შესაძლებლობა რისკების ეფექტური მართვის ჭრილში.“ სასამართლომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა: „დათქმა, რომ აღსრულება მიექცეს საგარანტიო ქონების გარდა სხვა ქონებაზეც, წარმოადგენს გამონაკლის რეგულირებას. ასეთი რეგულირების არსებობა, როგორც წესი, არ არის მოსალოდნელი და იგი მხოლოდ საგამონაკლისო წესით უნდა შეთანხმდეს მხარეთა შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის საკანონმდებლო დანაწესიც სწორედ ამაზე მიუთითებს. შესაბამისად, თუკი სხვა რამ არ დასტურდება,

²²⁶ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 301, ველი 17-19.

²²⁷ *იქვე*, ველი 18.

²²⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.

²²⁹ *იქვე*.

ივარაუდება, რომ მსესხებლის მოლოდინი ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობაზე მოიცავდა მხოლოდ საგარანტიო ქონების ფარგლებს. შესაბამისად, დამატებითი უფლებრივი შეზღუდვა, რომელიც ზრდიდა მისი ქონებრივი რისკების არეალს, უნდა ყოფილიყო მკაფიოდ გააზრებული მსესხებლის მიერ. ამის გააზრების შესაძლებლობა კი მას ექნებოდა მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების მხრიდან ხელშეკრულებაში ამგვარი ვალდებულების განმსაზღვრელი დათქმების არსებობის შესახებ ინფორმირების შემთხვევაში.“ ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მსესხებელს შეგებებული სარჩელის ფორმატში არ ჰქონდა მოთხოვნილი სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის პირობის ბათილად ცნობა, სასამართლომ მითითებული პირობა მიიჩნია ბათილად ფინანსური ორგანიზაციის არაკეთილსინდისიერებაზე აპელირებით.

სასამართლო პრაქტიკა სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია, განსხვავებულია საკასაციო სასამართლოს განმარტებები. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,²³⁰ რომელიც შეეხებოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის დავას და ამდენად, გამომდინარეობდა სესხის ხელშეკრულებიდან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მხარეებს შორის სანოტარო წესით გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება - მხარეები გაეცნენ ხელშეკრულების შინაარსს და ნოტარიუსის წინაშე ხელმოწერით დაადასტურეს ხელშეკრულების მათ ნებასთან შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მოვალის პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მოლოდინები მისივე პასუხისმგებლობის თაობაზე შემოიფარგლებოდა მხოლოდ იპოთეკის საგნით დაუსაბუთებლად მიიჩნია. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოვალისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტს - აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად სასამართლომ მსესხებლის ახსნა-განმარტება საკმარისად არ ჩათვალა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში²³¹ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და განმარტა, რომ სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის შესაძლებლობა დადგენილი იყო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რაც კრედიტორს აძლევდა ლეგიტიმური მოლოდინის საფუძველს, რომ მოვალის პასუხისმგებლობა იპოთეკის საგნის გარდა, ვრცელდებოდა მის საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზეც. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის არასაკმარისობის პირობებში, განსაზღვრა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის/თავდების სხვა ქონებაზე

²³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018.

²³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1172-2018.

გადახდევინების მიქცევით. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ კანონის მსგავსი ფორმალური განმარტება ეწინააღმდეგება მომხმარებლის უფლებების დაცვის სტანდარტებს.

ტანზანიის უმაღლესმა სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთეს ერთ-ერთ საქმეზე.²³² ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ კრედიტის იპოთეკით უზრუნველყოფის პირობებში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხა სრულად ვერ დაფარავს ბანკის მოთხოვნას, აღნიშნული წარმოადგენს კრედიტორის რისკს და მას არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის მოთხოვნით.

6.1.2.3. იპოთეკის საგნის რეალიზაცია სპეციალისტის მეშვეობით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უშვებს კრედიტორისა და მოვალის შეთანხმების საფუძველზე სპეციალისტის მეშვეობით იპოთეკის საგნის რეალიზაციას.

საბანკო კრედიტის/იპოთეკის ხელშეკრულებების უმრავლესობა სტანდარტული პირობის სახით ითვალისწინებს კრედიტორის შესაძლებლობას მიმართოს სპეციალისტს და იპოთეკის საგნის კერძო აუქციონზე რეალიზაციის მეშვეობით, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, უზრუნველყოს მოვალის მიმართ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც ბუნებრივია, მომხმარებლისთვის დამატებითი რისკების შემცველია. მოვალეს აღნიშნული პირობა მკაფიოდ უნდა ჰქონდეს გააზრებული, წინააღმდეგ შემთხვევაში რასაკვირველია, მისი თავისუფალი ნების არსებობა ეჭვქვეშ დადგება.

ერთ-ერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში²³³ თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა სსკ-ის 302-ე მუხლი და მიუთითა, რომ ნორმით გათვალისწინებული შეთანხმება სახეზე უნდა იყოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, აუქციონის რისკების არსებობისას და საკმარისი არ არის მხარეთა შეთანხმება მხოლოდ ხელშეკრულების დადების ეტაპზე. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა სსკ-ის 301.1 და 302.1 მუხლის წინაპირობები, კერძოდ, „ა) უნდა არსებობდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რადგან იპოთეკა სწორედ ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს (სსკ 301.1. ნაწილის

²³² The High Court and Court of Appeal of Tanzania case No 138 of 2017, Bank of Africa Tanzania Limited V. Rose Miyago Assea, Commercial Court (Unreported), Mruma, J.

²³³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმე N2/18913-14.

მოცემულობა); ბ) მოვალე ნებაყოფლობით არ უნდა აკმაყოფილებდეს ვალდებულების შესრულებას (სსკ 301.1. ნაწილის მოცემულობა); გ) კრედიტორმა მოვალეს/მესაკუთრეს უნდა წაუყენოს მოთხოვნა ნივთის აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე (სსკ 301.1. ნაწილის მოცემულობა); დ) კრედიტორი და მესაკუთრე ერთობლივად უნდა შეთანხმდნენ სპეციალისტის მეშვეობით ქონების რეალიზაციაზე (სსკ 302.1. ნაწილის მოცემულობა).“

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოვალეს ბარდება სპეციალისტის შეტყობინება კრედიტორის მიმართვის საფუძველზე კერძო აუქციონის დანიშვნის თაობაზე, რის შემდეგაც მომხმარებელი მიმართავს სასამართლოს და მოითხოვს იპოთეკის ხელშეკრულების იმ პუნქტების ბათილად ცნობას, რომელიც ითვალისწინებს კრედიტორის უფლებამოსილებას სპეციალისტისთვის მიმართვასთან დაკავშირებით. მოვალე სარჩელის უზრუნველყოფის სახით ასევე მოითხოვს იპოთეკის საგნის რეალიზაციის შეჩერებას. ასეთ პირობებში ფინანსური ორგანიზაცია უფლების დაცვის მიზნით შეგებებული სარჩელის ფორმატში მოითხოვს მოვალისთვის თანხის დაკისრებასა და იპოთეკის საგნის რეალიზაციას, რაც ეჭვქვეშ აყენებს მომხმარებლის პირვანდელი სარჩელის იურიდიულ ინტერესს, ვინაიდან კრედიტორმა კონკლუდენტურად თქვა უარი კერძო აუქციონის ფორმატზე და აირჩია დავის გადაწყვეტა სასამართლოს მეშვეობით, რაც პირვანდელი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველიც კი შეიძლება გახდეს.²³⁴ იმ პირობებში თუ სასამართლოს მიერ პირვანდელი სარჩელის განუხილველად დატოვების შემდეგ კრედიტორი არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს - გაიხმობს სარჩელს და კერძო აუქციონის ფორმას მიმართავს, აღნიშნული მომხმარებელს იურიდიულ ინტერესს წარმოუშობს, რათა მან კვლავ მიმართოს სასამართლოს ხელშეკრულების პუნქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით.²³⁵

²³⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით, „სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.“ ამდენად, სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს ხელშეკრულების პუნქტების ბათილად ცნობას, წარმოადგენს აღიარებით სარჩელს.

²³⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლი სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს შესაძლებლობას აძლევს, განმეორებით მიმართოს სასამართლოს.

6.2. სახელშეკრულებო პირობების კონტროლის სხვა შემთხვევები

6.2.1. პირგასამტეხლო

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი იძლევა პირგასამტეხლოს ლეგალურ დეფინიციას.²³⁶ პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ სანქციას ხელშეკრულების იმ მხარისთვის, რომელიც დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.²³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკით, „პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.“²³⁸ პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს მხარეთა წერილობითი ფორმით შეთანხმება არა მხოლოდ პირგასამტეხლოზე, არამედ მის ოდენობასა და დაკისრების წინაპირობებზე.²³⁹ სამართლებრივი თვალსაზრისით პირგასამტეხლო აქცესორული უფლებაა, ვინაიდან ის არ შეიძლება არსებობდეს ძირითადი ვალდებულების გარეშე.²⁴⁰

„ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. ... პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს.“²⁴¹

პირგასამტეხლოს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში. ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც თავად ადგენენ ხელშეკრულების ტექსტს ითვალისწინებენ პირგასამტეხლოს დაკისრების პირობას მომხმარებლისთვის, რომელიც არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს -

²³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, „პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.“

²³⁷ *ჭეჭელაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 27.06.2016, მუხლი 417, ველი 2.

²³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 მაისის განჩინება საქმე Nას-435-2019.

²³⁹ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 589-590.

²⁴⁰ *ჭეჭელაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 27.06.2016, მუხლი 417, ველი 4. იხ. ციტირება: ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 236.

²⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 მაისის განჩინება საქმე Nას-435-2019.

გადააცილებს თანხის გადახდის ვადას. ფინანსური ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებაში უთითებს იმ ოდენობის პირგასამტეხლოს, რომელიც არ შეესაბამება სსკ-ის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილ მაქსიმალურ ლიმიტს (0.27%), რასაც მომხმარებელი გაუცნობიერებლად თანხმდება.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იძენს განსაკუთრებულ აქტუალურობას სსკ-ის 420-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას აძლევს. ნორმა წარმოადგენს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში სასამართლოს მიერ სახელშეკრულებო პირობის კონტროლის ერთ-ერთ გამოხატულებას. სასამართლო პირგასამტეხლოს ოდენობას ამოწმებს მხოლოდ კრედიტის ამლების შუამდგომლობის საფუძველზე - სასამართლო უფლებამოსილი არ არის საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს პირგასამტეხლოს გონივრულობა, ამასთან, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია ეკისრება მოვალეს.²⁴² პირგასამტეხლოს შემცირება ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად, რის შემდეგაც სასამართლო განსაზღვრავს პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობას.²⁴³

პირგასამტეხლოს შემცირების საკითხს ეხება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 343-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც „თუ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე. სათანადოობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კრედიტორის ნებისმიერი ლეგიტიმური და არა მარტო მისი უზრალოდ ქონებრივი ინტერესი. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მისი ოდენობის შემცირება გამორიცხულია.“²⁴⁴ პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას იძლევა კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა. მაგალითად, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1154-ე მუხლით, სასამართლოს შეუძლია სამართლიანად შეცვალოს პირგასამტეხლო ძირითადი ვალდებულების ნაწილობრივ ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში; იგივე უფლებამოსილებას ადგენს იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლი, ბელგიის სამოქალაქო კოდექსის 1231-ე მუხლი, აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსის 467-ე მუხლი და სხვ.²⁴⁵

²⁴² *იოსელიანი ნ.*, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, სამართლის ჟურნალი N1, 2016, თბილისი, 2016, 63.

²⁴³ *იქვე*, 66.

²⁴⁴ *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 241.

²⁴⁵ *იოსელიანი ნ.*, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, სამართლის ჟურნალი N1, 2016, თბილისი, 2016, 68-69.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით,²⁴⁶ „პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება (იხ. სუსგ # ას-816-767-2015, 19.11.2015წ.)“.

ერთ-ერთ საქმეზე²⁴⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით მიჩნეულ იქნა შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად და გონივრულ ოდენობად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01% განისაზღვრა. მსგავსი გადაწყვეტა მისასაღებელია, სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულია.

სხვა საქმეზე²⁴⁸ კრედიტორი მოვალის მიმართ მათ შორის მოითხოვდა სესხის ძირითადი თანხის - 67802.04 აშშ დოლარის, სარგებლის - 3793.40 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს - 4157.46 აშშ დოლარის ანაზღაურებას. აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი თანხის - 67802.04 აშშ დოლარის, სარგებლის - 3793.40 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს - 138.58 აშშ დოლარის ანაზღაურება დაეკისრა, რამდენადაც კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს მოცულობა მიჩნეულ იქნა შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად.

ერთ-ერთ საქმეზე²⁴⁹ კომერციული ბანკი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალის მიმართ მოითხოვდა ძირითადი თანხის - 44 274.65 აშშ დოლარის, პროცენტის - 3 449.57 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს - 1 420.87 აშშ დოლარისა და დაზღვევის პრემიის - 121.83 აშშ დოლარის დაკისრებას. აღნიშნულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნილი

²⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინება საქმე Nას-512-512-2018.

²⁴⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინება საქმე Nას-445-445-2018.

²⁴⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება საქმე Nას-139-139-2018.

²⁴⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.

პირგასამტეხლოს ოდენობა არ იყო შეუსაბამოდ მაღალი ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით და არ არსებობდა მისი შემცირების საფუძველი.

ავსტრალიის სასამართლომ საინტერესო განმარტებები გააკეთა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში.²⁵⁰ მოცემულ საქმეზე მოსარჩელე უთითებდა, რომ დაგვიანებული გადახდის გამო დაწესებული პირგასამტეხლო იყო გადაჭარბებული და არაპროპორციული ბანკის მიერ განცილ ზიანთან, რის გამოც ხელშეკრულების პუნქტი, რომელიც პირგასამტეხლოს ითვალისწინებდა იყო ბათილი. სასამართლოს მიერ შესაფასებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა დღიურ 20 და 35 აშშ დოლარს. დავაზე როგორც ფედერალურმა, ასევე უმაღლესმა სასამართლომ განმარტეს, რომ მართალია, პირგასამტეხლოს მოცულობა აღემატებოდა ბანკის მიერ განცილ ზიანს, თუმცა გამართლებული იყო ფინანსური ორგანიზაციის ლეგიტიმური ბიზნეს ინტერესით. სასამართლომ მიუთითა, რომ მოვალის მიერ გადასახდელი თანხების ოდენობა შეიძლება იყოს გადაჭარბებული. მსესხებლის დაგვიანებული გადახდები განაპირობებდა ბანკის ხარჯების ზრდას, რაც გამოწვეული იყო სწორედ მომხმარებლის მიერ ვალდებულების დარღვევით. ამდენად, სასამართლომ მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა გამართლებულად ჩათვალა. მსგავსი გადაწყვეტა, რასაკვირველია, ხელყოფს მომხმარებელთა უფლებებს და არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

6.2.2. პროცენტი

საბანკო კრედიტის სასყიდლიანობა როგორც წესი, გამოიხატება მხარეთა მიერ პროცენტის შეთანხმებაში.²⁵¹ პროცენტი წარმოადგენს კრედიტორის სარგებელს მოვალის მიერ ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის, რომლის გადახდაც ეკისრება მოვალეს მიუხედავად მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისა.

ფინანსური ორგანიზაციები მომხმარებელს სთავაზობენ ხელშეკრულების დადებას სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთებით, რომელიც არაერთ ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული მოკლევადიანი სამომხმარებლო კრედიტის საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 2019 წლის იანვარში იყო 26.5%, თებერვალში - 27.8, მარტში - 25.7, აპრილში - 25%, მაისში კი - 27.6%; იგივე საპროცენტო განაკვეთები გრძელვადიანი

²⁵⁰ High Court of Australia, Paciocco v Australian and New Zealand Banking Corporation [2016] HCA 28, 27 July 2016.

²⁵¹ *შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001, 196.

სამომხმარებლო კრედიტისთვის იყო შემდეგნაირი: 2019 წლის იანვარი - 18%, თებერვალი - 18.1%, მარტი - 18.1%, აპრილი - 18.1%, მაისი - 18%.²⁵²

ერთ-ერთ დავაზე,²⁵³ რომელიც გამომდინარეობდა არა საბანკო კრედიტის, არამედ სესხის ხელშეკრულებიდან საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა საპროცენტო სარგებლის ოდენობასთან მიმართებით. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმპერატიული ნორმებით სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საკითხზე. მოცემულ შემთხვევაში სესხის საპროცენტო სარგებელი განსაზღვრული იყო ყოველთვიური 6%-ის ანუ წლიური 72%-ის ოდენობით. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 325-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.“ უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და სარგებლის მიმღები მოქმედებდა ცალსახად არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და მან ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა.“ სასამართლოს მითითებით, კრედიტორმა სესხისთვის შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი განსაზღვრა, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების ზნეობრივ ღირებულებებს და სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, უცილოდ ბათილი პირობაა. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტა, რომელმაც წლიური საპროცენტო სარგებელი 48%-მდე შეამცირა, რასაც რასაკვირველია, არ გამოუწვევია მთლიანი ხელშეკრულების ბათილად ცნობა სსკ-ის 62-ე მუხლის მიხედვით.

ამდენად, მიუხედავად კანონმდებლობაში პირდაპირი რეგულირების არარსებობისა, ცალსახაა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვა სესხის ხელშეკრულებაში საპროცენტო სარგებლის შეუსაბამოდ მაღალი განაკვეთის კონტროლის შესაძლებლობა და პროცენტის მოცულობა გონივრულ ოდენობამდე შეამცირა, რაც უმნიშვნელოვანესია მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

²⁵² ეროვნული ბანკის სტატისტიკა იხ. ბმულზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.

²⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმე Nას-663-629-2015.

6.2.3. მიუღებელი შემოსავალი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებასთან არის მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობისას კრედიტორის მიუღებელი შემოსავალი. ხშირ შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაციები ხელშეკრულებაში პირდაპირ განსაზღვრავენ ნორმას, რომლის მიხედვითაც ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში მოვალეს კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაეკისრება პროცენტი და პირგასამტეხლო სასამართლოს მიერ კრედიტორის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ხელშეკრულებაში მსგავსი პირობის არარსებობის შემთხვევაში კრედიტორი სასამართლოს წინაშე საკუთარ სასარჩელო მოთხოვნას აღსრულებამდე პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის თაობაზე ამყარებს მიუღებელი შემოსავლის მომწესრიგებელ საკანონმდებლო ნორმებზე და ამგვარად მოითხოვენ სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.“ მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორი არამართო ვერ იღებს კუთვნილ თანხას, არამედ კარგავს პროცენტის მიღების შესაძლებლობასაც იმ პირობებში, როდესაც კრედიტის გამცემს შეეძლო თანხა პროცენტების მომტანად ექცია.²⁵⁴

ზოგადად სასამართლო პრაქტიკა²⁵⁵ ერთგვაროვნად მიუთითებს, რომ „მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ... იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან.“

ერთ-ერთ საქმეში²⁵⁶ კომერციული ბანკი მოვალის მიმართ მოითხოვდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრებას მიუღებელი შემოსავლის მომწესრიგებელ ნორმებზე აპელირებით. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიღებულ

²⁵⁴ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 3.10.2017, მუხლი 411, ველი 10.

²⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 მაისის განჩინება საქმე Nას-153-2019 .

²⁵⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.

გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ვალდებულების შესრულებლობა, თავისთავად, ზიანის მომტანია მხარისთვის, რადგან კრედიტორს ყოველთვის აქვს შესრულების მოლოდინი და შესრულება მისთვის ყოველთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევამ დამატებით ზიანი მიაყენა კრედიტორს.“ ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფულის თავისებურებაზე, რომელიც ყოველთვის წარმოადგენს შემოსავლის წყაროს, რამდენადაც მესაკუთრეს შეუძლია მიიღოს დამატებითი შემოსავალი პროცენტის სახით. სასამართლომ განმარტა, რომ მოვალისთვის წინასწარ სავარაუდო ზიანი სახეზე იყო, ვინაიდან მასზე გაცემული გახლდათ სარგებლიანი სესხი. სასამართლომ მართალია მოპასუხეს დააკისრა მიუღებელი შემოსავალი პროცენტის სახით, თუმცა არა კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით. სასამართლომ განმარტა, რომ ის ვერ დარწმუნდა კომერციული ბანკის მიერ იმავე მოცულობით პროცენტის მიღების შესაძლებლობაში და მოვალეს დააკისრა გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში, წლიური 8% სარგებლის გადახდა იმ პირობებში, როდესაც კრედიტორის მიერ მიუღებელი შემოსავლის სახით მოთხოვნილი საპროცენტო სარგებლის განაკვეთი გახლდათ 18%. რაც შეეხება მოთხოვნილ პერიოდზე პროცენტთან ერთად ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მომავალ პერიოდზე პირგასამტეხლოს დარიცხვას, სასამართლომ სარჩელი ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა მით უფრო, რომ სასამართლოს მიერ ნაწილობრივ გახლდათ დაკმაყოფილებული მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით პროცენტის დაკისრების თაობაზე.

მიუღებელ შემოსავალთან მიმართებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა,²⁵⁷ რომ „საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის კომერციული ინტერესია, კრედიტის გაცემით მიიღოს გარკვეული მოგება. სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ფორმით არსებობს (სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი). შესაბამისად, კრედიტორს გაცემული კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ შეეძლო მიეღო ის მინიმალური სარგებელი, რასაც სასესხო ვალუტის დაბრუნებამდე იღებდა.“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოვალის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში კრედიტორი მიიღებდა სარგებელს თანხის გაცემით კვლავ კრედიტის ფორმით, რაც ქმნიდა სსკ-ის 411-ე მუხლის შემადგენლობას. ამდენად, უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალისთვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე.

²⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმე Nას-681-652-2016.

ამდენად, ცალსახაა, რომ მოქმედი სასამართლო პრაქტიკა მოვალეს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურებას აკისრებს, რაც ძირითადად გამომდინარეობს ფულის განსაკუთრებული თვისებიდან, რამდენადაც კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში ფინანსურ ორგანიზაციას კვლავ შეუძლია კრედიტის ფორმით გასცეს თანხა და მიიღოს სარგებელი. თუმცა რასაკვირველია, მიუღებელი შემოსავლის დაკისრებამ არ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ.²⁵⁸

²⁵⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, 653. იხ. ციტირება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის Nას-307-291-2011 განჩინება.

დასკვნა

ნათელია, რომ საბანკო კრედიტი დღევანდელობაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ხელშეკრულებაა, რომლითაც მომხმარებელთა უმრავლესობა სარგებლობს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების ერთ მხარეს ყოველთვის წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული სუბიექტი, დიდია დომინირებული მდგომარეობის მქონე მხარის მიერ კონტრაქტის მიმართ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, რაც საკანონმდებლო დონეზე მომხმარებლის უფლებების ქმედითი დაცვის აუცილებლობას წარმოშობს.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები ადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარკვეულ მექანიზმებს, რომლებიც დაწვრილებით ზემოთ იქნა განხილული, თუმცა ცალსახაა, რომ მსგავსი დათქმები ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების „სუსტი“ მხარის უფლებების სათანადოდ დაცვას მით უფრო, რომ პრაქტიკაში ფინანსური ორგანიზაციები მითითებულ მინიმალურ სტანდარტსაც კი არ იცავენ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცდეს დეტალური ნორმები კრედიტის გამცემის მიერ მსესხებლისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, მათ შორის, სტანდარტულ პირობებთან მიმართებით, რომელიც მომხმარებელს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ცალსახაა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებებით დადგენილი ზოგადი ვალდებულება ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის სრულ ინფორმირებას, მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევის შედეგების გაცნობიერებას. მიზანშეწონილია, კანონმდებლობაში აისახოს კრედიტორის ვალდებულება რჩევის მიცემასთან დაკავშირებით, რომელიც საკმარისი ფინანსური და იურიდიული განათლების არმქონე მომხმარებელს დაეხმარება ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაში. მომხმარებლის უფლებების დაცვაზე დადებითად აისახება მოვალის მიერ არაინფორმირებული არჩევანის გაკეთების სამართლებრივი შედეგების დარეგულირება. კრედიტის გამცემის მიერ მსესხებლისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგს შესაძლებელია წარმოადგენდეს ხელშეკრულების კონკრეტული პირობის/პირობების ბათილად ცნობა კრედიტორის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, კანონმდებლობითვე გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი კრედიტორის მიერ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის გაზიარება, რომელიც მტკიცების ტვირთს ერთმნიშვნელოვნად აკისრებს ფინანსურ ორგანიზაციას. საჭიროა, კანონმდებლობით განმტკიცდეს ზოგადი ვალდებულება კრედიტის გამცემის მიერ მსესხებლისთვის ყველა სახის ინფორმაციის წერილობითი ფორმით მიწოდების

თაობაზე, რაც ასევე დავის წარმოშობისას გაამარტივებს ფინანსური ორგანიზაციის მტკიცების ტვირთს. მოვალისაგან განსხვავებით, კრედიტორს გააჩნია საკმარისი რესურსი, ამტკიცოს მოვალისთვის ინფორმაციის სრულად მიწოდების ფაქტი მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ნაშრომში განხილული, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი, პრაქტიკა მოვალის ახსნა-განმარტებას საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნევს. მტკიცების ტვირთის კრედიტორისთვის დაკისრება შეესაბამება საბანკო კრედიტის ხელშეკრულების არსს, მხარეთა არათანაბარ პოზიციებს.

მართალია, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ უხვია, თუმცა ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული ერთიანი სტანდარტი. რაც ყველაზე უცნაურია, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებები. ზემოთ განხილულ მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილებაშია შეფასებული საბანკო კრედიტის თავისებურება, კრედიტორის არაკეთილსინდისიერი მოქმედებები.

მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე განმტკიცდეს ნორმა, რომელიც სასამართლოს, პირგასამტეხლოს მსგავსად, არაგონივრული საპროცენტო განაკვეთის შემცირების შესაძლებლობას მისცემს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი მექანიზმის არარსებობას ბოროტად იყენებენ კრედიტორები და ხელშეკრულებაში არაგონივრული ოდენობის საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავენ. როგორც წესი, სასამართლოები თავს იკავებენ ზოგადი ნორმების საფუძველზე მის შემცირებაზე, რაც ცხადყოფს სპეციალური რეგულირების საჭიროებას.

მითითებული კატეგორიის დავების განხილვისას საჭიროა, სასამართლოების მიერ უფრო მეტად იქნეს გამოყენებული სტანდარტული პირობების ბათილობის დამდგენი ნორმები, რომელიც ზღუდავს კრედიტის გამცემს და მას მოვალის მიმართ კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპიდან გამომდინარე მოქმედებას „აიძულებს“. როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც კრედიტორი მოვალის მიმართ ითხოვს არაგონივრული პროცენტისა და პირგასამტეხლოს, მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას, იპოთეკის საგნის გარდა სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევას, სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას, კერძო აუქციონის მეშვეობით მოთხოვნის დაკმაყოფილებას და სხვ.

მომავალში სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს მიერ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებისა და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ შეიქმნება მომხმარებელთა დაცვის ქმედითი სტანდარტი, მათ შორის, ფინანსურ სფეროშიც.

რასაკვირველია, ზემოაღნიშნული საკითხების/რეკომენდაციების გათვალისწინებამ არ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის ინტერესების არათანაზომიერი შეზღუდვა, არამედ უნდა შექმნას გონივრული ბალანსი, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს ხელშეკრულების მხარეების ინტერესების დაცვას და არ წახალისებს მოვალის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევას.

ბიბლიოგრაფია

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა

- ❖ *ამირანაშვილი გ.*, გარიგების ფორმის ფუნქციები, სამართლის ჟურნალი N1, 2016, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
- ❖ *ბაჩიაშვილი ვ.*, ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, სამართლის ჟურნალი N1, 2013, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014.
- ❖ *გაბისონია ზ.*, საბანკო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017.
- ❖ *გაგუა ი.*, სამართლის როლი და ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას (შედარებითსამართლებრივი დახასიათება), სამართლის ჟურნალი N1, 2013, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014.
- ❖ *გელაშვილი ი.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 17.10.2017, მუხლი 319.
- ❖ *გუგუტიშვილი მ.*, სახელშეკრულებო თავისუფლება და მისი საზღვრები ქართულ კერძო სამართალში, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ N6, „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ ერთობლივი გამოცემა, თბილისი, 2016.
- ❖ *დარჯანია თ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 69.
- ❖ *ერქვანია თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და კანონი N3'(30)11, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის ერთობლივი ჟურნალი, თბილისი, 2011.
- ❖ *ზაალიშვილი ვ.*, სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები - შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2017.
- ❖ *ზამბახიძე თ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 26.10.2016, მუხლი 623.
- ❖ *იოსელიანი ნ.*, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, სამართლის

- ჟურნალი N1, 2016, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
- ❖ *კაკოიშვილი დ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013.
 - ❖ *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები დარჯანია თ./ ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი, 2014.
 - ❖ *ლაკერბაია თ.*, ზალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), გამომცემელი შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018.
 - ❖ *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
 - ❖ *ლილუაშვილი თ.*, *ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007.
 - ❖ *მამაიაშვილი თ.*, მორიგება როგორც სამოქალაქო საქმისწარმოების დამთავრების საფუძველი, სამართლის ჟურნალი N1, 2013, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
 - ❖ *მამაიაშვილი თ.*, საბანკო კრედიტის (სესხის) ხელშეკრულება და სასამართლოსმიერი მორიგება საკრედიტო ვალდებულების დარღვევისას, სამართლის ჟურნალი N2, 2014, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
 - ❖ *რამიშვილი ა.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
 - ❖ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 301.
 - ❖ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 342.
 - ❖ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 21.03.2017, მუხლი 345.
 - ❖ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 3.10.2017, მუხლი 411.
 - ❖ *სამხარაძე ი.*, სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, სამართლის ჟურნალი N1, 2015, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
 - ❖ *ფაჩუაშვილი ნ.*, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, სამართლის ჟურნალი N2, 2017, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

- ❖ *შენგელია ი.*, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი არსი და მნიშვნელობა, მართლმსაჯულება და კანონი N4(23)'09, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, თბილისი, 2009.
- ❖ *შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.
- ❖ *ჩაჩანიძე თ.*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი N3(26)'10, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი, თბილისი, 2010.
- ❖ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.
- ❖ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 8.
- ❖ *ჭეჭელაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, www.gccc.ge, 27.06.2016, მუხლი 417.
- ❖ *ხუნაშვილი ნ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, სამართლის ჟურნალი N1, 2013, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014.
- ❖ *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017.
- ❖ *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, სამართლის ჟურნალი N1, 2014, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა

- ❖ *Agarwal S., Chomsisengphet S., Liu Ch., Souleles N.S.*, Do Consumers Choose the Right Credit Contracts? University of Pennsylvania 9-2015, Wharton Faculty Research.
- ❖ *Alleweldt F., Micklitz W-H., Rott P., and others*, Broad Economic Analysis of the Impact of the Proposed Directive on Consumer Credit, Study, Policy Department, Economic and Scientific Policy, Brussels 2007.
- ❖ *Ardic O.P., Ibrahim J.A., Mylenko N.*, Consumer Protection Laws and Regulations in Deposit and Loan Services, A Cross-Country Analysis With a New Data Set, The World Bank, Financial and Private Sector Development, Consultative Group To Assist the Poor, 2011.

- ❖ *Bae K.H., Goyal V.K.*, Creditor Rights, Enforcement, and Bank Loans, The Journal of Finance, April 2009.
- ❖ *Bourgoignie Th.*, Characteristics of Consumer Law, Journal of Consumer Policy 14, Netherlands 1992.
- ❖ *Brix L., McKee K.*, Consumer Protection Regulation in Low-Access Environments: Opportunities to Promote Responsible Finance, GCAP, Focus Note 2010.
- ❖ *Collins C.*, Consumer Credit, 1983, Annual Survey American Law, 497 (1983).
- ❖ *Ebers M.*, INFORMATION AND ADVISING REQUIREMENTS IN THE FINANCIAL SERVICES SECTOR: Principles and Peculiarities in EC Law, Electronic Journal of Comparative Law, vol. 8.2 (June 2004).
- ❖ EBF Report on Financial literacy, Financial literacy - Empowering Consumers to Make the Right Choices, European Banking Federation (a.i.s.b.l.), D0305C-2009, Brussels 2009.
- ❖ *Garcia Porras C.I., Van Boom W.H.*, Information Disclosure in the EU Consumer Credit Directive: Opportunities and Limitations, Rotterdam Institute of Private Law, Working Paper 2012.
- ❖ *Kempson E.*, Over-indebtedness in Britain, A Report to the Department of Trade and Industry, Personal Finance Research Centre, September 2002.
- ❖ *Kessler F.*, Contracts of Adhesion-Some Thoughts About Freedom of Contract, Yale Law School 1-1-1943.
- ❖ *Porteous D., Helms B.*, PROTECTING MICROFINANCE BORROWERS, CGAP 2005.
- ❖ *Preston S.D., Prochaska-Cue K.*, Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska – Lincoln Extension, Institute of Agriculture and Natural Resources, December 2007.
- ❖ *Rutledge S.L.*, Consumer Protection and Financial Literacy, Lessons from Nine Country Studies, The World Bank, Europe and Central Asia Region, Finance and Private Sector Department, 2010.
- ❖ *Saribekian K.*, Bank Credit Risk-Management for Long-Term Loan Financing: Financial Analysis and Assessment of Credit Quality of the Borrower, Russian Federation.
- ❖ *Sein K.*, Protection of Consumers in Consumer-Credit Contracts, Expectations and Reality in Estonia 2013.
- ❖ *Teply P.*, Consumer Lending In Theory And Practice, Charles University, Prague 2015.
- ❖ *Whittaker S.*, The Internal Relationships of EU Consumer Contract Laws: Unfair Contract Terms, Unfair Commercial Practices and CESL, Sellier European Law Publishers.

ელექტრონული რესურსები

- ❖ www.gccc.ge/www.civilcode.ge.

- ❖ matsne.gov.ge.
- ❖ prg.supremecourt.ge.
- ❖ info.court.ge.
- ❖ ecd.court.ge.
- ❖ info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040?.
- ❖ www.legislation.gov.uk/ukpga/1974/39/contents.
- ❖ www.mfa.gov.ge.
- ❖ www.nbg.gov.ge/index.php?m=304
- ❖ eur-lex.europa.eu.
- ❖ www.technologylawdispatch.com/2018/09/in-the-courts/ecj-ruling-on-fairness-of-disproportionately-high-default-interest-rate-in-consumer-loan-agreements/.

ნორმატიული აქტები

- ❖ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>.
- ❖ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=122#!>.
- ❖ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანება, 28/12/2016, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606?publication=6>.
- ❖ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანება, 25/12/2018, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4422157?publication=0>.
- ❖ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, სსმ, 29, 12/10/2009, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=37>.
- ❖ საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 003, 23/03/1996, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=34>.
- ❖ საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, სსმ, 30, 27/07/2006, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=13>.

- ❖ საქართველოს კანონი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“, სსმ, 23, 24/07/2002, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1894?publication=11>.
- ❖ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=63>.
- ❖ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, სსმ, 13(20), 01/05/1999, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=90>.
- ❖ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სსმ, 54, 12/10/2010, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>.
- ❖ საქართველოს კანონი „საერთო სასამართოების შესახებ“, სსმ, 41, 08/12/2009, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676>.
- ❖ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), ხელმისაწვდომია: <http://www.gesetze-im-internet.de/bgb/>.
- ❖ Directive of The European Parliament and of the Council 2008/48/EC of 23 April 2008 on Credit Agreements for Consumers and Repealing Council Directive 87/102/EEC, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32008L0048>.
- ❖ Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on Unfair Terms in Consumer Contracts, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31993L0013>.
- ❖ Directive of The European Parliament and of the Council 2002/65/EC of 23 September 2002 Concerning the Distance Marketing of Consumer Financial Services and Amending Council Directive 90/619/EEC and Directives 97/7/EC and 98/27/EC, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32002L0065>.
- ❖ Directive of The European Parliament and of the Council 2005/29/EC of 11 May 2005 Concerning Unfair Business-To-Consumer Commercial Practices in the Internal Markets and Amending Council Directive 84/450/EEC, Directives 97/7/EC, 98/27/EC and 2002/65/EC of the European Parliament and of the Council and Regulation (EC) No 2006/2004 of the European Parliament and of the Council, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0029>.
- ❖ Consumer Credit Act 1974 of Britain, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1974/39/contents>.

- ❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე N2/8628-16.
- ❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N2/16778-17.
- ❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.
- ❖ High Court of Australia, Paciocco v. Australian and New Zealand Banking Corporation [2016] HCA 28, 27 July, 2016.
- ❖ The High Court and Court of Appeal of Tanzania, case No 138 of 2017 Bank of Africa Tanzania Limited V. Rose Miyago Assea, Commercial Court (Unreported), Mruma, J.
- ❖ European Court of Justice, Banco Santander SA v. Mahamadou Demba, Mercedes Godoy Bonet (Case C-96/16) and Rafael Ramón Escobedo Cortés v. Banco de Sabadell SA (Case C-94/17), 7 August, 2018.